პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 იანვარი ოთხშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოდის 49-ე წელი

№ 24 (14324)

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

# მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაძლიერებისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის, პირადი შემადგენლობის პოლიტიკური აღზრდისა და „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის" განხორციელების საქმეში არმიისა და ფლოტის პოლიტორგანოებისადმი დახმარების გაძლიერების საკითხებზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოები, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახლა მეტ ყურადღებას უთმობენ სოციალისტური სამშობლოს დაცვის ლენინური იდეების, საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების სახელოვანი რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციების პროპაგანდას, იმპერიალიზმის აგრესიული არსის მხილებას, მშრომელთა აღზრდას მაღალი სიფხიზლის სულისკვეთებით.

პრესის ფურცლებზე, რადიოთი და ტელევიზიით, ლექციურ პროპაგანდაში, თვალსაჩინო აგიტაციაში უფრო ფართოდ და უფრო სრულად შუქდება სამხედრო-პატრიოტული თემა. უფრო ხშირად ეწყობა შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან, საბჭოთა კავშირის გმირებთან, საბჭოთა არმიისა და ფლოტის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულებთან, სამოქალაქო თავდაცვის წარჩინებულებთან, ჯარის ნაწილების ექსკურსიები მუზეუმებში. გაუმჯობესდა სამხედრო ცოდნის პროპაგანდის ხარისხი და გაძლიერდა სამოქალაქო თავდაცვის მოთხოვნები, გაფართოვდა სამხედრო-საშეფო მუშაობის სფერო. რესპუბლიკის ხელოვნების მოღვაწეები ქმნიან ახალ ნაწარმოებებს სამხედრო-პატრიოტულ თემაზე.

ბევრ სკოლაში, კოლმეურნეობაში, საწარმოში შეიქმნა საბრძოლო დიდების მუზეუმები და ოთახები. დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა პატივსაცემად დაიდგა ძეგლები, ობელისკები და მემორიალური დაფები, მათი ხსოვნის პატივსაცემად შენდება პარკები და ბაღები. სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სრულიად საკავშირო ლაშქრობაში [illegible]

[illegible] ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას შესაბამისი შენობებით ამ პუნქტების უზრუნველყოფისა და საჭირო სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნისათვის. სამხედრო კომისარიატები და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი ორგანიზაციები ყოველთვის როდი უთმობენ სათანადო ყურადღებას დაწყებით სამხედრო მომზადებას, სუსტად უწევენ კონტროლს სასწავლებლებსა და სასწავლო პუნქტებში მეცადინეობის მიმდინარეობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიღებულ დადგენილებაში პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული და რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციების მშრომელთა შორის იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ ის, რომ კიდევ უფრო გააძლიერონ მასების სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, დახმარება გაუწიონ არმიისა და ფლოტის პოლიტორგანოებს პირადი შემადგენლობის აღზრდაში, „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის" განუხრელად განხორციელებაში.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის და მიაღწიონ პარტიისა და მთავრობის შესაბამის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებას.

პარტიის საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს წინადადება მიეცათ: ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში მეტი ყურადღება დაუთმონ სოციალისტური სამშობლოს დაცვის ლენინური იდეების, დიდი ბელადის სამხედრო-პატრიოტული მემკვიდრეობის პროპაგანდას, ფართოდ გაუწიონ პროპაგანდა საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების სახელოვან რევოლუციურ და საბრძოლო ტრადიციებს, სამშობლოს დაცვაში სსრ კავშირის მოქალაქეთა მოვალეობას, აღზარდონ მშრომელები მაღალი სიფხიზლისა და იმპერიალიზმისადმი კლასობრივი სიძულვილის სულისკვეთებით; აამაღლონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა პროფკავშირული, კომკავშირული, სპორტული და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობისათვის მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში, „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის" განხორციელებასა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა შესრულებაში; გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი, ბიბლიოთეკებისა და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებისადმი მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში; განაგრძონ მუშაობა, რომ სამშობლოსათვის ბრძოლებში დაღუპულ მეომართა პატივსაცემად დადგან ძეგლები, ობელისკები, მემორიალური დაფები და გულმოდგინედ მოუარონ მათ.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს დაევალა განამტკიცოს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისათვის მზადებისა და დღესასწაულის პერიოდში მოპოვებული წარმატებანი ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში; მიაღწიოს იმას, რომ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები უფრო კონკრეტულად და მიზანდასახულად მუშაობდნენ ამ ამოცანის გადაჭრაზე, უფრო ხშირად იხილავდნენ სამხედრო-პატრიოტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის, აგრეთვე ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის ახალგაზრდების მომზადების საკითხებს; უფრო ღრმად ჩასწვდეს დაწყებითი სამხედრო მომზადების ორგანიზაციასა და მოწყობას; უზრუნველყოს კომკავშირის ყველა წევრის აქტიური მონაწილეობა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაობაში, განამტკიცოს ურთიერთობა ჯარის კომკავშირულ ორგანიზაციებთან, რეგულარულად მოაწყოს არმიისა და სამოქალაქო ახალგაზრდობის ერთობლივი ღონისძიებანი, მოაგვაროს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების გაზიარება.

საქართველოს პროფსაბჭოს წინადადება მიეცა უზრუნველყოს პროფკავშირული ორგანიზაციების უფრო აქტიური მონაწილეობა საწარმოებსა და დაწესებულებებში თავდაცვით-მასობრივ მუშაობაში, აგრეთვე ახალგაზრდობის დაწყებითი სამხედრო მომზადების განხორციელებაში, ტექნიკურ სახეობათა სპორტის შემდგომ განვითარებასა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.

საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტი მოვალეა ძირეულად გააუმჯობესოს საქალაქო და რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელობა პირველადი ორგანიზაციებისადმი, მიაღწიოს იმას, რომ ყოველი მათგანი აქტიურად მონაწილეობდეს სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში, ასწავლიდეს ახალგაზრდობას სამხედრო ცოდნის საფუძვლებს, ავითარებდეს სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა სპორტს; განახორციელოს ღონისძიებანი არმიისათვის სპეციალისტების მომზადების ხარისხის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად; აამაღლოს პოლიტიკური მეცადინეობის იდეური დონე სასწავლო ორგანიზაციებში, სერიოზული ყურადღება დაუთმოს იმ წვევამდელებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას, რომლებიც წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლობენ; მეტი იზრუნონ მათი ყოფა-ცხოვრებისა და კულტურულ-მასობრივ და სპორტულ მუშაობაში ჩაბმისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტსა და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურ კომიტეტს დაევალათ გააუმჯობესონ „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად" ნიშნოსნებისა და სამხედრო-გამოყენებით სახეობათა სპორტის სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების ხარისხი.

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატს, სამინისტროებსა და უწყებებს, რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბს, საწარმოების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომ მაღალ დონეზე უზრუნველყონ ახალგაზრდობის დაწყებითი სამხედრო მომზადება. დროზე და ხარისხიანად შეარჩიონ სამხედრო ხელმძღვანელები და მასწავლებლები, აამაღლონ მათი კვალიფიკაცია და სავსებით შეასრულონ სასწავლო გეგმები.

კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის შემოქმედებითმა კავშირებმა, რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთების, ჟურნალების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკურმა საზოგადოება „ცოდნამ" უნდა განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის მუშაობის გასაძლიერებლად, „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის" პროპაგანდის გასაწევად, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის ახალგაზრდობის მოსამზადებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა გაადიდოს სამხედრო-ისტორიული და მემუარული ხასიათის წიგნების გამოშვება, უზრუნველყოს სამხედრო-პატრიოტულ თემებზე მასალებისა და ლამაზად გაფორმებული პლაკატების გამოცემა თვალსაჩინო აგიტაციისათვის.

მოწონებულია არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის წინადადება საზოგადოების სახსრებით თბილისში თავდაცვის სახლის მშენებლობის შესახებ.

ზოგიერთ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოს აღმასკომებს დაევალათ განიხილონ საკითხი ადგილობრივი ბიუჯეტების თავისუფალი სახსრებით არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სასწავლო შენობათა მშენებლობაში ნაწილობრივი მონაწილეობის შესახებ და გააძლიერონ კონტროლი ამ ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობისადმი.

რესპუბლიკის მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს წინადადება მიეცათ აღმოფხვრან არსებული ჩამორჩენა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სასწავლო შენობათა მშენებლობაში და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი დადგენილ ვადაზე მათი მშენებლობის დამთავრებისათვის. (საქინფორმი).

## ლენინურ შრომით საჩუქარს

# მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები წარმოებაში

### მაგნიტოგორსკელთა სოციალისტური ვალდებულებანი

მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მშრომელთა კრებებზე და საამქროებსა და განყოფილებებში განიხილეს და იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი.

ახლოვდება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ასი წლისთავი, ნათქვამია ვალდებულებებში. საბჭოთა ადამიანებისათვის უსაზღვროდ ძვირფასია ეს სახელი, რომელშიც განსახიერებულია ყოველივე კეთილშობილური, ყველაზე ნათელი და მშობლიური. ლენინის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მთელი ისტორია. ლენინის მიხედვით ვამოწმებთ ჩვენს ცხოვრებასა და მუშაობას, ჩვენს კომუნისტურ რწმენას, ლენინთან, მის ნაშრომებსა და ანდერძში ვპოულობთ პასუხს კითხვებზე, თუ როგორ ვმართოთ უკეთ მეურნეობა, მოვაწყოთ შეჯიბრება, ვიბრძოლოთ ახლისათვის, მოწინავისათვის, მაღალი შრომის ნაყოფიერებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის.

მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივი, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ისწრაფვის ღირსეულად აღნიშნოს ეს ისტორიული თარიღი.

ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში კომბინატმა სამშობლოს მისცა 190 ათასი ტონა გეგმითი თუჯი, 140 ათას ტონაზე მეტი ფოლადი, 235 ათასი ტონა ნაგლინი, მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, მიღებულია ერთ მილიარდ მანეთზე მეტი მოგება.

მეშვიდე ბრძმედის კოლექტივის ინიციატივით კომბინატში ყველა მეტალურგიული აგრეგატისათვის შემუშავდა ტექნიკური პროგრესის კონკრეტული გეგმები. ბრძოლა მათი განხორციელებისათვის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

წლითიწლობით უმჯობესდება მშრომელთა ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობები. მარტო უკანასკნელ სამ წელიწადში მეტალურგებმა მიიღეს ოთხი ათასზე მეტი ახალი კეთილმოწყობილი ბინა.

ვალდებულებებში ხაზგასმულია, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი ინტენსიური განვითარება და წარმოებაში უკანასკნელ მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა ფართო დანერგვა ახლა არა მარტო ცენტრალური ეკონომიური, არამედ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანაცაა. კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა ფართო სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღოს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, წარმოებაში მაღალეფექტიანი ახალი ტექნიკის უფრო სწრაფად გამოყენებისათვის და ამ საფუძველზე მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს კომბინატის მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

ჩვენ ბეჯითად ვიშრომებთ, აცხადებენ მეტალურგები, რომ შედარებით მოკლე დროში უზრუნველვყოთ კომბინატის ხელახალი ტექნიკური აღჭურვა, განუხრელად ავამაღლოთ წარმოების კულტურა, რომ კომბინატის პროდუქცია თავისი ხარისხითა და სორტამენტით ყოველთვის შეესაბამებოდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს.

მაგნიტოგორსკელები ვალდებულებას კისრულობენ, კერძოდ, დღენიადაგ აუმჯობესონ გლინვის წარმოება, უახლოესი ხუთი წლის მანძილზე მოაწყონ სორტსაგლინავი დგანებისა და ცხელი გლინვის ფურცლოვანი დგანის „2.500"-ის ძირეული რეკონსტრუქცია. დასახულია განახორციელონ ბრძმედების მწარმოებლობის შემდგომი ამაღლების, საბრძმედე წარმოებისათვის ნედლეულის მომზადების გაუმჯობესების სამუშაოები. დასახულ ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებელს გახდის წელს შარშანდელთან შედარებით გამოადნონ 200 ათასი ტონით მეტი თუჯი.

მარტენის წარმოებაში უნდა უზრუნველყონ ჟანგბადის გამოყენების შემდგომი გაფართოება და ეფექტიანობის ამაღლება და ამ გზით უკვე მიმდინარე წელს ფოლადის წარმოება გაადიდონ სულ ცოტა 150 ათასი ტონით.

საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელება, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა დანერგვა კომბინატს საშუალებას მისცემს 1969 წელს დაზოგოს 7 მილიონი მანეთი და მშენებარე საამქროებისათვის გაათავისუფლოს სულ ცოტა 1.000 კაცი.

გათვალისწინებულია მუშა ახალგაზრდობის სკოლებში, ტექნიკუმებში, ინსტიტუტებში ასწავლონ სულ ცოტა 7 ათას კაცს. 13,5 ათასმა მუშამ წელს უნდა აიმაღლოს ტექნიკური ცოდნა. კომბინატის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს 1969 წელს აწარმოოს 50 ათასი ტონა ზეგეგმითი თუჯი, 75 ათასი ტონა ფოლადი, 40 ათასი ტონა ნაგლინი, 1970 წლის 22 აპრილისათვის მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების ამაღლების დონეს, რომელიც ხუთწლედის დამლევისათვისაა გათვალისწინებული.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილემდე დარჩენილ დროში დასახულია სახალხო მეურნეობას მისცენ 575 მილიონი მანეთი მოგება. გადაწყვეტილია წელს გეგმის გადაჭარბებით საწარმოს ფონდის ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადასცენ 10 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

მაგნიტოგორსკის კომბინატის კოლექტივი მოუწოდებს საბჭოთა მეტალურგებს ფართოდ გააჩაღონ ყველა საწარმოში სოციალისტური შეჯიბრება ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. (საკდესი).

## სიახლე აგრეგატებზე

რუსთავი. (საკ. კორ.). ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია ფართოდ ინერგება მეტალურგიული ქარხნის საამქროებში. ახლახან აგრეგატ „140"-ზე დანერგეს მილის 90 გრადუსით შემობრუნების მექანიზაცია, ხოლო აგრეგატ „400"-ზე — მილის ნამზადის გახურების ავტომატიზაცია. აქვე ავტომატური დგანის გლინები გადაიყვანეს მოქანავე საკისრებზე, რამაც დიდად გააუმჯობესა დგანის ექსპლოატაცია.

მეტალურგებმა ასევე წარმატებით გადაჭრეს 12-მეტრიანი მილების წარმოების ათვისების საკითხი.

## იქნება ახალი პროდუქცია

კარგი მაჩვენებლებით დაიწყო ხუთწლედის მეოთხე წელი თბილისის თამბაქოს № 2 ფაბრიკის (დირექტორი ა. კაკელია) კოლექტივმა. წლის დასაწყისიდანვე ფართოდ გაიშალა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება.

იანვრის პირველ ორ დეკადაში შესანიშნავად იშრომეს მეთამბაქოეებმა, დავალება დიდი გადაჭარბებით, 114,2 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით 24 მილიონი ცალი სხვადასხვა სახის სიგარეტი დაამზადეს, რაც 141 ათასი მანეთის ღირებულებას შეადგენს. ამით მეთამბაქოეებმა მარტო იანვრის ოც დღეში გეგმით გათვალისწინებული 835 ათასი მანეთის ნაცვლად მომხმარებელს 976 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდეს.

მოკლე ხანში ფაბრიკაში მიიღებენ და დაამონტაჟებენ სიგარეტის გამომშვებ ახალ მანქანებს და დაიწყება კიდევ ერთი ახალი უმაღლესი ხარისხის სიგარეტის „ლუქსის" გამოშვება რბილი შეფუთვით.

თ. კინწურაშვილი.

**ხუთწლედი — ვადამდე!**

## ტოდორ ჟივკოვი უზბეკეთის სტუმარია

სამარყანდი, 28 იანვარი. (საკდესი). ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი დღეს კვლავ ეცნობოდა უზბეკეთის ცხოვრებას. ტოდორ ჟივკოვი და სხვა სტუმრები გაემგზავრნენ სამარყანდში. ბულგარელ მეგობრებს ახლდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი.

ამხანაგი ტოდორ ჟივკოვი და მისი თანმხლები პირნი ეცნობოდნენ ისტორიულ ძეგლებს, არქიტექტურულ ნაგებობებსა და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობებს.

იმავე დღეს ტოდორ ჟივკოვი და სხვა სტუმრები სამარყანდიდან სოფიაში გაემგზავრნენ.

## სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი მოსკოვში ჩამოვიდა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 28 იანვარს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი კახთან მუჰამედ აშ-შააბი.

საპატიო სტუმარს და მეგობარი ქვეყნის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი და სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

## ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახვედრად

### თათბირი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

28 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას.

თათბირზე მოიწვიეს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები.

მოხსენება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული მუშაობის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხთა განყოფილების გამგემ მ. პ. ბალათურიამ.

მოხსენების გამო გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება.

თათბირზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში გაშლილი საარჩევნო კამპანიის დროს ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების წინა არჩევნების პერიოდში შეძენილი გამოცდილება, გავითვალისწინოთ ცალკეული ნაკლოვანებანი წინა არჩევნების ორგანიზაციაში.

საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ამოცანებზე ილაპარაკა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. მ. ლელაშვილმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე. (საქინფორმი).

## რეპორტიორთა სემინარი

მოსკოვი, 28 იანვარი. (საკდესის კორ.). დღეს ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში დაიწყო სრულიად საკავშირო სემინარი, რომელიც მიეძღვნა ინფორმაციის თეორიასა და პრაქტიკას. აქ შეიკრიბნენ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები. სემინარის დასაწყისი აღინიშნა შესანიშნავი „კოსმოსური მოვლენით" ჟურნალისტიკაში: ხომალდ „სოიუზ-3"-დან რეპორტაჟის ავტორი ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი კოსმონავტი მფრინავი გ. ტ. ბერეგოვოი მიიღეს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირში.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ს. ბურკოვმა კოსმონავტს მიულოცა და საწევრო ბილეთი გადასცა.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საკდესის გენერალურმა დირექტორმა ს. გ. ლაპინმა.

ახალი ამბების სააგენტოს გამგეობის თავმჯდომარის ბ. ს. ბურკოვის მოხსენება მიეძღვნა ლენინის თემას ინფორმაციაში. ეკონომიური ინფორმაციის პრობლემებზე ილაპარაკა „ეკონომიჩესკაია გაზეტას" მთავარი რედაქტორის მოადგილემ ვ. ფ. ფილიპოვმა.

სემინარზე გამოსულმა ჟურნალისტებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი, თუ როგორ შეიძლება ინფორმაციაში უფრო საინტერესოდ და მრავალფეროვნად ასახო საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, შრომა, სწავლა და დასვენება.

## თათბირი პენტაგონში

ვაშინგტონი, 28 იანვარი. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა პენტაგონში გამართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ თავდაცვის მინისტრი მ. ლეირდი, შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი ე. უილერი და სხვა მაღალი თანამდებობის სამხედრო პირნი, აგრეთვე პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე ეროვნული უშიშროების საქმეებში გ. კისინჯერი.

თეთრი სახლის პრესასთან კავშირის წარმომადგენელმა რ. ზიგლერმა განაცხადა, რომ გენერალმა უილერმა პრეზიდენტ ნიქსონს გააცნო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტი. თათბირის შემდეგ პრეზიდენტი გაეცნო ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდლობის ცენტრის მუშაობას.

## ხუნტის ახალი რეაქციული ბრძანებულება

პარიზი, 28 იანვარი. (საკდესი). საბერძნეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ „იმათ, ვისი შეხედულებანი არ შეესაბამება ეროვნულ იდეალებსა და არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ წყობილებას, საქმე არა აქვთ რა უნივერსიტეტებში", იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს ათენელი კორესპონდენტი.

ეს ნათქვამია ბრძანებულებაში „სტუდენტთა უფლებებისა და მოვალეობის შესახებ", რომელიც აქ ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნდა.

ბრძანებულებით, უნივერსიტეტებიდან გარიცხავენ იმ პირებს, რომლებიც „ცდილობენ განახორციელონ არსებული საზოგადოებრივი წყობილების დამხობისადმი მიმართული იდეები, ან პროპაგანდას უწევენ მათ".

## ტექნიკის სიახლენი



# ასეთ ტრაქტორებს გამოუშვებს ხარკოვის ქარხანა

ტრაქტორი „ტ-150" (სურათზე მარცხნივ) სამამულო ტრაქტორმშენებლობის უკანასკნელი მიღწევაა. იგი 150 ცხენის ძალის სიმძლავრისაა და საათში 9-15 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს. მანქანა ადვილად სამართავია, ჰიდრავლიკური ამორტიზატორები და რეზინიანი საყრდენი გორგოლაჭები ამცირებენ მუხლუხების ხმაურს, ზრდიან მანქანის გამძლეობის ვადას.

ტრაქტორის კაბინა ჰერმეტიზებულია, მძღოლს იცავს მტვრისაგან, გაზებისა და ხმაურისაგან. კაბინაში ხდება ჰაერის კონდენსირება, ვენტილაცია, გათბობა.

ტრაქტორი „ხტზ-150კ" (სურათზე მარჯვნივ) ტრაქტორ „ტ-150"-ის თვლიანი ვარიანტია. მინდვრის სამუშაოების გარდა ეს მანქანა ტვირთის საზიდავადაც გამოდგება. მისი სიჩქარე საათში 30 კილომეტრს აღწევს.

ამ ახალი ტრაქტორების სერიულ გამოშვებას მალე დაიწყებენ ხარკოვის სატრაქტორო ქარხანაში.

ფოტო რ. ალფიმოვისა.





# ლენინგრადის უკვდავი გმირობა

ლენინგრადი, (საქდესი). ქალაქის უდიდეს დარბაზში — „ოქტომბრის" დარბაზში გაისმა დიდებული და მკაცრი მელოდია სიმღერისა „აღსდეგ, ქვეყანავ ბუმბერაზო!", დაიწყო ნევის ციხე-სიმაგრის კედლებთან ჰიტლერელთა განადგურების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. ლენინგრადის 900 დღის დაცვის გმირები მოვიდნენ აქ, რათა აღენიშნათ ეს შესანიშნავი ნიშანსვეტი კაცობრიობის მიხაკისფერი შავი ჭირის — ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სხდომის პრეზიდიუმში არიან ქალაქის დაცვის გმირები, სახელოვანი მხედართმთავრები, მტრის ზურგში პარტიზანული რეიდების ვეტერანები, ლენინგრადელთა სტუმრები, გმირი ქალაქების მოსკოვის, ვოლგოგრადის, კიევის, სევასტოპოლის, ოდესის, გმირი ციხე-სიმაგრის — ბრესტის დელეგაციათა წევრები, ნოვგოროდისა და ფსკოვის ოლქების წარმოგზავნილნი, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია.

საზეიმო სხდომა გახსნა ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ა. სიზოვმა.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

მოხსენება მტრის ბლოკადისაგან ლენინგრადის სრული განთავისუფლების 25 წლისთავის შესახებ გააკეთა სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ს. ტოლსტიკოვმა.

ლენინგრადელთა სტუმრებმა საზეიმო სხდომაზე ილაპარაკეს, თუ რა წვლილი შეიტანეს ლენინგრადელებმა საბჭოთა ხალხის გამარჯვებაში ჰიტლერელ დამპყრობლებზე, აღნიშნეს, რომ უკვდავია იმათი ხსოვნა, ვინც სიცოცხლე გასწირა ოქტომბრის ქალაქისათვის.

გმირი ქალაქის მშრომელთა სახელზე მოვიდა მრავალი მისალმება და მილოცვა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისაგან, მხარეების, ოლქებისა და ქალაქებისაგან, ხომალდებისა და ჯარის ნაწილებისაგან

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

საღამოს დღესასწაული გრძელდებოდა გმირი ქალაქის ქუჩებში, მოედნებზე პროსპექტებზე, აინთო ილუმინაციის ნათურები, კულტურის სასახლეებში, თეატრებში გაიმართა კონცერტები. როგორც ყოველთვის დიდი ზეიმის დღეებში, ვასილის კუნძულის როსტრალურ სვეტებზე აინთო გიგანტური ჩირაღდნები.

ლენინგრადი, (საქდესის კორ.). სამხედრო სალუტის ზალპებმა, რომლებმაც პისკარევოს მემორიალური სასაფლაოს მყუდროება დაარღვიეს, კიდევ და კიდევ მოგვაგონეს, რომ 900-დღიანი ბლოკადის დროს დაღუპულ გმირთა ხსოვნა მარადიულია. ნეკროპოლის რუხი გრანიტის ფილების ქვეშ განისვენებენ მოქალაქენი, რომლებიც დაიღუპნენ მტრის 250 ათასი ბომბისაგან, ნაღმისაგან, შიმშილისა და სიცივისაგან.

მტრის ბლოკადის სრული ლიკვიდაციის 25 წლისთავზე, დიდების მარადიული ცეცხლი, მწუხარე დედა-სამშობლოს მონუმენტი, საფლავის ბორცვები შეამკეს ყვავილებით. გვირგვინები მოიტანეს სკკპ ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების, საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომების, ლენინგრადის სამხედრო ოლქის, საწარმოთა, დაწესებულებათა კოლექტივების წარმომადგენლებმა. აქვეა აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, გმირი ქალაქების — მოსკოვის, ვოლგოგრადის, კიევის, სევასტოპოლის, ოდესის, გმირი ციხე-სიმაგრე ბრესტის, ფსკოვისა და ნოვგოროდის ოლქების დელეგაციათა გვირგვინები.

ლენინგრადელთა მამაცობისა და ვაჟკაცობის პატივსაცემად მემორიალის ფილები გვირგვინებით შეამკეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლენინგრადის გენერალური საკონსულოს, ფინეთის გენერალური საკონსულოს, სოციალისტური ქვეყნების არმიების სამხედრო მოსამსახურეთა, მეგობარი ქვეყნების არმიების სამხედრო მოსამსახურეთა წარმომადგენლებმა.

საზეიმო-სამგლოვიარო ცერემონიები გაიმართა აგრეთვე სერაფიმის მემორიალურ სასაფლაოზე და ლენინგრადის დაღუპულ დამცველთა მასობრივი დაკრძალვის ადგილებში.

ხსოვნის დღეს ქალაქის ბრძოლების ვეტერანებმა გამოაცხადეს სადღესასწაულო შეკრება „საიუბილეო" სპორტის სასახლის დროშებთან. საღამოს ლენინგრადის ცას გაანათებს სადღესასწაულო ფეიერვერკი.

ლენინგრადი, (საქდესის კორ.). დიდი სამამულო ომის წლებში ჰიტლერელთა წინააღმდეგ ბრძოლებში ლენინგრადის 900 დღის დაცვის დროს დაღუპულ გმირთა სახელებს ამიერიდან ატარებს ნევის ქალაქის სამი ახალი ქუჩა.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება ვიბორგის მხარის ერთ-ერთ მაგისტრალს მიენიჭოს მიხეილ ხარჩენკოს სახელი. 1942 წლის სუსხიან ზამთარში პარტიზანი ხარჩენკო მეთაურობდა რაზმს, რომელიც იცავდა სურსათის ალალს. 250 საზიდარისაგან შემდგარი ეს ალალი შეიქმნა ლეგენდარულ პარტიზანულ მხარეში და ჩამოიყვანეს ბლოკირებულ ლენინგრადში. მ. ს. ხარჩენკოს, რომელიც დაეცა საბრძოლო პოსტზე, მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ვალენტინა გრიბალიოვას ქუჩა უწოდეს მაგისტრალს ქალაქის ერთ-ერთ ახალ უბანში. მამაცი ქალიშვილი ბლოკადის უკანასკნელ დღეებში თავისი ტ-34 ტანკით უტევდა მტრის გამაგრებულ პოზიციებს. მან ბრძოლებით გაიარა ესტონეთი, პოლონეთი. მტრის ტყვიამ 26 წლის ვ. ა. გრიბალიოვა განგმირა, როცა იგი დაზვერვაში ყოფნის დროს ალყაში მოექცა...

თევდორე ბურცევი, რომლის სახელი ეწოდა თავდაცვის ყოფილ ხაზზე გაშენებულ ერთ-ერთ ქუჩას, გმირის სიკვდილით დაეცა 1941 წლის დეკემბერში. იგი მეთაურობდა მზვერავთა ჯგუფს, რომელმაც გაანადგურა მტრის დაცვა და სამხედრო ტყვეთა ბანაკიდან გაათავისუფლა 200 საბჭოთა ჯარისკაცი.

# სრულვყოთ სატვირთო გადაზიდვა

## ავტოტრანსპორტის პრობლემები

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა წარმოუდგენელია, თუ არ იქნა მაღალგანვითარებული ტრანსპორტი, რომლის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ შეუფერხებლად დააკმაყოფილოს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნები ყოველგვარი ტვირთის გადაზიდვასა და მგზავრების გადაყვანაზე. ამ ამოცანის გადაწყვეტის საწინდარია ტრანსპორტის ცალკეულ სახეობათა შორის გადაზიდვების სწორი განაწილება, საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის ერთიანი სისტემის შემდგომი განვითარება მასში შემავალი ტრანსპორტის თვითეული სახეობის შეუნელებელი და ჰარმონიული განვითარების ბაზაზე.

სსრ კავშირის ტრანსპორტის ერთიან სისტემაში წამყვან როლს ძირითადად რკინიგზა ასრულებს. მაგრამ ამასთან ერთად სულ უფრო და უფრო იზრდება ავტოტრანსპორტის მნიშვნელობაც.

საქართველოში ტერიტორიის სიმცირისა და ზედაპირის რელიეფური პირობების გამო ავტოტრანსპორტს ტრანსპორტის სხვა სახეობებთან შედარებით განვითარების მეტი პერსპექტივა აქვს. ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორია 69,7 ათასი კვადრატული კილომეტრია, რომელსაც აღმოსავლეთიდან დასავლეთით ჰკვეთს რკინიგზის მაგისტრალური ხაზი. მას აქვს რამდენიმე განშტოება. ამჟამად საქართველოში რკინიგზის ახალი ხაზების მშენებლობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ განშტოებებს, არარენტაბელური იქნება, რადგან რკინიგზის მშენებლობა საქართველოში ტერიტორიის ზედაპირის მთაგორიანი რელიეფის გამო დამატებით ხელოვნურ ნაგებობათა (გვირაბები, ხიდები და სხვ.), მშენებლობას მოითხოვს, რაც გამოიწვევს გაცილებით უფრო მეტ კაპიტალურ დაბანდებათა აუცილებლობას. ამიტომ ეკონომიურად უფრო გამართლებული იქნება ახალი მაგარსაფარიანი საავტომობილო გზების მშენებლობა და არსებული გზების ტექნიკური სრულყოფა.

ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილიდან ავტოტრანსპორტის წინსვლის ბევრი დამახასიათებელი მაგალითის მოყვანა შეიძლება. კერძოდ: საავტომობილო ტვირთზიდვა 1965 წელს 1940 წელთან შედარებით 9,5-ჯერ გაიზარდა, ტვირთბრუნვა კი — 12,9-ჯერ, მაშინ როცა რკინიგზაზე ეს მაჩვენებლები გაცილებით უფრო მცირეა. აღნიშნულ პერიოდში ტვირთზიდვა აქ მხოლოდ 4-5-ჯერ გაიზარდა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დღეს საქართველოს მთელი ტვირთების საერთო მოცულობის დაახლოებით 85 პროცენტი ავტოტრანსპორტს გადააქვს.

მიუხედავად ამისა, როგორც აღნიშნულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 1 ოქტომბრის დადგენილებაში „სატვირთო ავტოტრანსპორტის გამოყენების გაუმჯობესების შესახებ", ავტოტრანსპორტის ასეთი და სხვა მრავალი უპირატესობა რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული და ამ მიზეზით სახელმწიფო დიდ ზარალს განიცდის.

დადგენილებაში ყურადღება გამახვილებულია იმ მავნე შედეგებზე, რასაც ადგილი აქვს წვრილი, დაქუცმაცებული საუწყებო სატვირთო ავტომეურნეობების მუშაობის პრაქტიკაში. დადგენილება ითვალისწინებს უახლოეს მომავალში წვრილი, არარენტაბელური ავტომეურნეობების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირებას და მათ ბაზაზე საერთო სარგებლობის სისტემის და უწყებრივი დაქვემდებარების, სამეურნეო ანგარიშზე მყოფ მძლავრ ავტოსატრანსპორტო საწარმოთა ქსელის გაფართოებას.

სატვირთო და სამგზავრო ავტომობილების პარკის კონცენტრაცია მძლავრ, სპეციალიზებულ საავტომობილო მეურნეობებში, მათი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით, მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება, სატრანსპორტო პროცესის უკეთესი ორგანიზაციის, მოძრავი შემადგენლობის მაღალხარისხოვანი ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის უზრუნველყოფის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის მრავალმხრივი შესაძლებლობანი საშუალებას იძლევა სატვირთო გადაზიდვების ორგანიზაციის უკეთ მოწყობის მიზნით ფართოდ იქნას გამოყენებული მეცნიერების ახალი მიღწევები და პრაქტიკაში უკვე გამოცდილი მოწინავე პროგრესული მეთოდები. ამით საგრძნობლად უმჯობესდება როგორც ტვირთის მიმწოდებელი და მომხმარებელი ორგანიზაციების მომსახურება, ისე საავტომობილო პარკის გამოყენება, ამასთან იზრდება მისი მწარმოებლობა, მინიმუმამდე მცირდება გადაზიდვების თვითღირებულება. სწორედ ამიტომ 1955 წლიდან ჩვენს რესპუბლიკაში დაინერგა და წარმატებით ხორციელდება ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის მეთოდი, რომელიც მრავალმხრივი უპირატესობით გამოირჩევა გადაზიდვის დეცენტრალიზებულ მეთოდთან შედარებით.

ტვირთის ცენტრალიზებული წესით გადაზიდვის დროს სატრანსპორტო პროცესში მონაწილე ორგანიზაციებს შორის ფუნქციები შემდეგნაირად ნაწილდება: მოძრავი შემადგენლობის დატვირთვა ევალება მიმწოდებელ ორგანიზაციას, განტვირთვა — ტვირთის მომხმარებელ ორგანიზაციას, ხოლო გადაზიდვასა და ექსპედირებას ასრულებს ავტოსატრანსპორტო საწარმო.

სატრანსპორტო ფუნქციების ამგვარ განაწილებას ბევრი კარგი მხარე აქვს. იგი სხვადასხვა ორგანიზაციასთან წვრილ, არარენტაბელურ, საუწყებო საავტომობილო მეურნეობის არსებობის საჭიროებასაც გამორიცხავს, ტვირთის მომხმარებელ ორგანიზაციებს (ფაბრიკებს, ქარხნებს, სამშენებლო ობიექტებს და სხვა საწარმოებს) მთლიანად ათავისუფლებს დატვირთვის, გადაზიდვისა და ექსპედირების მათთვის არადამახასიათებელი ფუნქციებისაგან. ამით ამ უკანასკნელთ შესაძლებლობა ეძლევათ მეტი ყურადღება მიაქციონ თავიანთ ძირითად საწარმოო საქმიანობას.

ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციის ამგვარი სისტემის დროს მიმწოდებელი და მომხმარებელი ორგანიზაციები, რომლებიც აწარმოებენ ავტომობილების დატვირთვასა და განტვირთვას თავიანთი ძალებითა და საშუალებებით, დაინტერესებული არიან, რომ ეს ოპერაციები მაქსიმალურად მექანიზებული იყოს.

ცენტრალიზებულ გადაზიდვათა დანერგვამდე ქ. თბილისში დღე-ღამის განმავლობაში რკინიგზის 300 კონტეინერის გადაზიდვაზე ყოველდღიურად დასაქმებული იყო 135 სატვირთო ავტომობილი, 100-მდე ექსპედიტორი და 200-მდე მტვირთავი მუშა. ცენტრალიზებულ გადაზიდვათა დანერგვის შემდეგ, როცა კონტეინერების სადღეღამისო ბრუნვამ 500 ერთეულს მიაღწია (1964-1965 წლებში), ამ სამუშაოს ექსპედიტორებისა და მტვირთავი მუშების დაუხმარებლად, ასრულებდა 50 სატვირთო ავტომობილი, რის შედეგადაც წლიურმა ეკონომიამ 291 ათასი მანეთი შეადგინა.

როგორც აღვნიშნეთ, ტვირთის ცენტრალიზებული წესით გადაზიდვის მეთოდი საქართველოში თავიდანვე მეტად სწრაფი ტემპით ვრცელდებოდა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ 1966 წელს 1965 წელთან შედარებით ჩვენს რესპუბლიკაში ცენტრალიზებული წესით პროცენტულად გაცილებით უფრო მეტი ტვირთი გადაიზიდა (ტონობით), ვიდრე სსრ კავშირის სხვა რომელიმე რესპუბლიკაში.

საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის პარალელურად ამჟამად ცენტრალიზებულ გადაზიდვებს აწარმოებს ზოგიერთი საუწყებო (სამეურნეო ანგარიშზე მყოფი) საავტომობილო მეურნეობა. მაგრამ ეს სათანადო ეფექტს არ იძლევა. დღევანდელ პირობებში ცენტრალიზებული გადაზიდვები უნდა აწარმოოს ძირითადად საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტმა, რომელიც ტექნიკურად, ეკონომიურად და ორგანიზაციულად უკეთ არის მომზადებული მის შესასრულებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ნათელ პერსპექტივებს სახავენ უახლოეს პერიოდში რესპუბლიკაში საქალაქთაშორისო სატვირთო გადაზიდვათა შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. საქალაქთაშორისო მიმართულებებზე სატვირთო გადაზიდვათა რაციონალური ორგანიზაციის მისაღწევად საჭიროა უპირველეს ყოვლისა სათანადო გაანგარიშებით დადგინდეს ამა თუ იმ სახეობის ტრანსპორტის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი, რომლის დროსაც მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას მთელი რიგი ფაქტორები. კერძოდ: გადასაზიდი ტვირთისა და გადაზიდვის ღირებულების შეფარდება, ტვირთის შეფუთვისა და გზაში დამატებითი ხარჯების ღირებულება, გადაზიდვის ოპერაციების რაოდენობა და მისი ღირებულება, პირდაპირი და არაპირდაპირი კაპიტალური დაბანდებანი, ტვირთის გადაზიდვის საერთო ხანგრძლივობა ტვირთის წარმომქმნელი პუნქტიდან მოხმარების ადგილამდე (სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის მონაწილეობით), გადაზიდვის ერთობლივი ხარჯები ტვირთის წარმომქმნელი პუნქტიდან მოხმარების პუნქტამდე და სხვ.

ამგვარად, საქალაქთაშორისო მიმართულებით სატვირთო გადაზიდვათა რაციონალური ორგანიზაციისათვის საჭიროა შესრულდეს მრავალმხრივი საკვლევი სამუშაოები. სსრ კავშირის ზოგიერთი საქალაქთაშორისო მარშრუტისათვის ასეთი სამუშაოები უკვე განხორციელდა და დადგინდა, რომ დღევანდელ პირობებში ავტოტრანსპორტით მიზანშეწონილია გადაიზიდოს მთელი რიგი ტვირთები 150-250 კილომეტრზე, ხოლო ზოგ შემთხვევაში — 400 და 1.000 კილომეტრზეც კი. ადრინდელი შეხედულებებით იმავე ტვირთების ავტომობილებით გადაზიდვის ოპტიმალურ მანძილად მიჩნეული იყო 50 კილომეტრი.

თანამედროვე პირობებში ქალაქებს შორის სატვირთო გადაზიდვის უკეთ მოწყობის უზრუნველყოფის მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისაბმელებისა და ნახევარმისაბმელიანი უნაგირა საწევრების გამოყენების ორგანიზაციის საკითხებს, რაც ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

როგორც ცნობილია, საქალაქთაშორისო მიმართულებებზე სატვირთო გადაზიდვათა ტექნოლოგია ძირითადად შემდეგ ოპერაციებს მოიცავს: გასაგზავნი ტვირთის მიღება უშუალოდ პუნქტში ან ტვირთის გამგზავნი ორგანიზაციის საწყობიდან, ტვირთის გაგზავნა დანიშნულებისამებრ და მისი დაცვა, დანიშნულების ადგილზე ტვირთის მიღება და დახარისხება, წვრილპარტიობრივი ტვირთის დაჯგუფება მიმართულებების მიხედვით, ტვირთის გაცემა ან მიზიდვა მომხმარებლის საწყობამდე, ყველა საჭირო შემთხვევაში მოძრავი შემადგენლობის დატვირთვა და განტვირთვა. ამ სამუშაოების, ანუ საქალაქთაშორისო სატვირთო გადაზიდვების წარმატებით განხორციელების მიზნით პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებით უახლოეს თვეებში რესპუბლიკის მთავარ მაგისტრალურ გზებზე შეიქმნება სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სატრანსპორტო - საექსპედიციო საწარმოების, სატვირთო სადგურების, სააგენტოების, სადისპეტჩერო-საკონტროლო პუნქტებისა და საწყობების ფართო ქსელი.

როგორც აღვნიშნავდით, საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტი მთელი რიგი უპირატესობებით ხასიათდება ტრანსპორტის სხვა სახეობებთან შედარებით. სწორედ ამ უპირატესობით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ომისშემდგომ პერიოდში საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტი მეტად სწრაფი ტემპით განვითარდა. საგრძნობლად გაიზარდა მისი ხვედრითი წონა ქვეყნის ავტოტრანსპორტის მთლიან ტვირთბრუნვაში. თუ 1950 წელს საქართველოს სსრ საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის ტვირთბრუნვა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ავტოტრანსპორტის მთლიანი ტვირთბრუნვის 1,7 პროცენტს შეადგენდა, 1958 წელს მან 19,1 პროცენტს მიაღწია, ხოლო 1965 წელს 47,7 პროცენტს. საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით შესრულებული ტვირთზიდვის მოცულობა გაიზარდა 0,2 მილიონი ტონიდან (1950 წელი) 11,5 მილიონ ტონამდე (1958 წ.), შემდეგ კი 69,9 მილიონ ტონამდე (1966 წ.), დღეისათვის ეს მიღწევები გაცილებით უფრო ეფექტური იქნებოდა, საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტს ზოგიერთი არსებითი ხასიათის ხელშემშლელი მიზეზები რომ არ ედობებოდეს. ამ მიზეზებმა თავი იჩინა ჯერ კიდევ 1958-1959 წლებში, როცა მთავრობის დადგენილებით წვრილი საუწყებო ავტომეურნეობების მოძრავი შემადგენლობა მასობრივად გადაეცა საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის სისტემისა და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სხვა მსხვილ ავტოსატრანსპორტო საწარმოების დაქვემდებარებაში.

წვრილი საუწყებო ავტომეურნეობის რღვევა, მის ხარჯზე საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის სატვირთო პარკის ინტენსიურად ზრდა პროგრესული ნაბიჯი იყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ავტოტრანსპორტის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით. მაგრამ მეორე მხრივ, თავი იჩინა ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის მრავალმა სიძნელემაც. საქმე ის არის, რომ მოძრავი შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობა, რომელიც საუწყებო ავტომეურნეობებიდან გადაეცა საავტომობილო ტრანსპორტის სისტემას, მოძველებული და ტექნიკურად გაუმართავი იყო. ამასთან, ახალ პირობებში, გამსხვილებული ავტომეურნეობები უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათ არ გააჩნდათ საჭირო სახელოსნოები, შენობები და საგარაჟო მოწყობილობის უმარტივესი საშუალებებიც კი ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და მიმდინარე რემონტის უზრუნველსაყოფად. საბურავებით, საწვავითა და სათადარიგო ნაწილებით ცუდად მომარაგების გამო მოძრავი შემადგენლობის საგრძნობი ნაწილი უქმად იდგა. ბუნებრივია, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს არ შეეძლო რაიმე ერთდროული ღონისძიებით გამოესწორებინა ეს მდგომარეობა. საჭირო იყო დრო და სათანადო კაპიტალური დაბანდებანი, საჭირო იყო სატვირთო პარკის უაღრესად სწრაფი ტემპით განახლება, მისი შემდგომი ინტენსიური ზრდა და, რაც მთავარია, წვრილი საუწყებო ავტომეურნეობების მინიმუმამდე შემცირება.

სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. მართალია, 1964 წლიდან პარკის განახლება წარმოებდა, მაგრამ მისი შემდგომი ზრდა საგრძნობლად შეფერხდა. ხოლო წვრილი საუწყებო ავტომეურნეობები და მათი პარკი, პირიქით, ინტენსიურად იზრდებოდა. 1967 წელს ისინი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ავტომეურნეობათა საერთო რაოდენობის 83,2 პროცენტს შეადგენდნენ და დაახლოებით იმდენივე სატვირთო ავტომობილი ჰქონდათ, რამდენიც საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის მთელ სისტემას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია კიდევ ერთხელ შევნიშნოთ, რომ წვრილ საუწყებო ავტომეურნეობებს არ შესწევთ უნარი უზრუნველყონ მოძრავი შემადგენლობის მაღალი წარმადობით გამოყენება. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ისეთი ავტოსატრანსპორტო საწარმოების სამეურნეო საქმიანობა, რომლებსაც მხოლოდ 15-მდე ავტომობილი გააჩნიათ, არარენტაბელურია. მათი მოძრავი შემადგენლობის მუშაობის მწარმოებლობა 1,8-1,9-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე 100 და მეტი ავტომობილის მფლობელი მეურნეობებისა. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ერთმანეთს დავუპირისპირებთ უწყებრივი და საერთო სარგებლობის ავტომობილების მუშაობის საექსპლოატაციო მაჩვენებლებს, კერძოდ, 1967 წელს საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის მუშაობის ისეთი ხარისხობრივი მაჩვენებლები, როგორიც არის ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტი, საშუალო სადღეღამისო გარბენა, საექსპლოატაციო სიჩქარე, 1,7-ჯერ, 1,3-ჯერ და 1,2-ჯერ სჭარბობდა საუწყებო წვრილი მეურნეობების შესაბამის საექსპლოატაციო მაჩვენებლებს. ამიტომ წლიური მწარმოებლობა ერთ ინვენტარულ ავტომობილ-ტონაზე ავტოტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში ტონობით 2,7-ჯერ და ტონა-კილომეტრობით 1,9-ჯერ მეტი იყო, ხოლო 10 ტონა-კილომეტრის თვითღირებულება 10,8 კაპიკით ნაკლები, ვიდრე უწყებრივ წვრილ ავტომეურნეობებში.

საერთო სარგებლობის სისტემის სატრანსპორტო მუშაობის აღნიშნული უპირატესობა ვრცელდება რესპუბლიკის მთელ საუწყებო ავტოტრანსპორტზეც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე გამონაკლისს, როცა უწყებრივი და ავტოტრანსპორტის სამინისტროს სისტემის მოძრავი შემადგენლობის მუშაობის ესა თუ ის საექსპლოატაციო მაჩვენებლები ზოგჯერ ერთმანეთს უთანაბრდება. მაგალითად, 1967 წელს საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის გარბენისა და პარკის გამოყენების კოეფიციენტებმა იმდენად იკლო, რომ თითქმის გაუთანაბრდა საუწყებო ავტოტრანსპორტის შესაბამის საექსპლოატაციო მაჩვენებლებს, რაც გამოწვეული იყო სატვირთო პარკში პროცენტულად თვითსაცლელების რაოდენობის ზრდით (რომლებიც გადაზიდვას ჩვეულებრივად მხოლოდ ერთი მიმართულებით აწარმოებენ) და მოძრავი შემადგენლობის მეტად დაძაბული მუშაობით (დიდი მოცულობისა და წონის ტვირთების ტრანსპორტირება, ცუდი საგზაო პირობები, განსაკუთრებით კარიერებისა და სამშენებლო ობიექტების მისასვლელებთან). მიუხედავად ამისა, სხვა ხელშემწყობი ფაქტორების — საექსპლოატაციო და ტექნიკური სიჩქარეების, ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტის, განწესში ყოფნის ხანგრძლივობის და საშუალო სადღეღამისო გარბენის მეოხებით სატრანსპორტო მუშაობის განმსაზღვრელი ძირითადი მაჩვენებლები: მწარმოებლობა ერთ ინვენტარულ ავტომობილ-ტონაზე წელიწადში და სატვირთო გადაზიდვების თვითღირებულება კვლავ სასურველ დონეზე დარჩა.

ჩვენს ქვეყანაში ავტომობილების ექსპლოატაციის საკითხებზე წლების განმავლობაში გამოქვეყნებული მეცნიერული ხასიათის ნაშრომებში, ამ დარგის ყველა ცნობილი სპეციალისტისა თუ სამეცნიერო დაწესებულებების ერთობლივ გამოკვლევებში ერთხმად არის აღიარებული საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის დიდი უპირატესობა უწყებრივთან შედარებით. ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილიდან აღებული ყოველდღიური პრაქტიკული მაგალითებით ნათლად ჩანს, თუ რა ზიანს აყენებს ქვეყნის სახალხო მეურნეობის ეკონომიკას წვრილ უწყებრივ ავტომეურნეობათა ასეთი შეუნელებელი, სტიქიური გამრავლების ტენდენცია. შექმნილი მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორების მიზნით, საჭიროა მინიმუმამდე შემცირდეს წვრილი, არარენტაბელური საუწყებო ავტომეურნეობები. ავტოტრანსპორტის განვითარების საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინტერესები არ უნდა ეწირებოდეს კერძო უწყებრივ მისწრაფებებს, რაც საბოლოოდ, ნებსით თუ უნებლიედ, ავტოტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის დაქსაქსვას, მის პარალიზებას და, რა თქმა უნდა, დიდ ეკონომიურ ზარალსაც იწვევს.

ყველა სხვა მოსაზრება ამ საკითხზე დაუპირისპირდება პარტიისა და მთავრობის იმ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რომლებიც მოცემულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის ოქტომბრის ერთობლივ დადგენილებაში რესპუბლიკის სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

**თ. დავითაშვილი,**
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი,

**გ. გაფრინდაშვილი,**
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტორო - ტექნოლოგიური ბიუროს უფროსი.

# სწავლობენ პირველადი ორგანიზაციის მდივნები

**პარტიული ქრონიკა**

△ ზესტაფონი. (საკ. კორ.). საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომთან შეიქმნა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთწლიანი სკოლა, რომელშიც უმთავრესად გაერთიანდნენ ახალარჩეული პარტბიუროების მდივნები.

მეცადინეობაზე მოხსენებები წაიკითხეს: საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ვერულაშვილმა, ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ო. ბუხნიკაშვილმა, პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ლ. გველესიანმა, რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ გ. ალავიძემ და სხვებმა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის სამუშაო გეგმა, პარტიული კრებებისა და ბიუროს სხდომების მომზადება-მოწყობა, „მიღებულ დადგენილებათა კონკრეტულობა, მათი შესრულების მიმდინარეობის შემოწმების ფორმები და მეთოდები", „იდეოლოგიური მუშაობის სიახლენი", „პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი", „სკკპ რიგებში მიღება, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა" და სხვ. — ასეთი იყო ამ მოხსენებათა თემები.

△ გეგეჭკორი. (საკ. კორ.). მეცადინეობა დაიწყო პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ერთწლიანმა სკოლამ, რომელიც პარტიის რაიონულ კომიტეტთან შეიქმნა.

მორიგ მეცადინეობაზე წაკითხულ იქნა ორი ლექცია: „სკკპ XXIII ყრილობა პარტიული ორგანიზაციების იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანების შესახებ და „პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი".

მოხსენებები წაიკითხეს პარტიის რაიკომის მდივანმა ა. ხუროძემ და პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარემ შ. ბასილაიამ.

△ რუსთავი. (საკ. კორ.). პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთწლიან სკოლაში წაკითხული იქნება ლექციები: „სკკპ XXIII ყრილობა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების შესახებ", „პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საქმის წარმოება და პარტიული დოკუმენტების გაფორმება", „პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური განათლებისათვის", „პარტიაში მიღება და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა" და სხვ.

რუსთავში ორგანიზებულად სწავლობენ პარტჯგუფორგებიც.

□

# რესპუბლიკური სემინარი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკისა და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის შემსწავლელი სემინარების ხელმძღვანელთა რესპუბლიკურმა სემინარმა.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები და მოხსენებები, მათ შორის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გ. ჩოგოვაძის მოხსენება „საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივები", საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის ა. გიგოშვილის — „საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის განვითარების შესახებ", ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ი. ტაბაღუას — „დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმი და ევროპის უშიშროების პრობლემა", თადარიგის გენერალ-მაიორ გ. ყურაშვილის — „ქართველები დიდ სამამულო ომში", ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ა. ციციშვილის — „სკკპ ბრძოლა კომუნისტური მოძრაობის შემჭიდროებისათვის" და სხვ.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა 150 კაცი. პროპაგანდისტებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება.

# ახალგაზრდა კომუნისტთა შეკრება

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომმა მოაწყო ახალგაზრდა კომუნისტთა და პარტიის წევრობის კანდიდატთა რაიონული შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიული ბიუროების მდივნები.

ახალგაზრდა კომუნისტთა იდეურ-ორგანიზაციული წრთობის ამოცანებზე მოხსენება წაიკითხა პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ნ. მაღრაძემ. აზრთა ურთიერთგაზიარებაში მონაწილეობა მიიღეს რაიკომთან არსებული პარტიაში მიღებისა და კომუნისტთა პერსონალური საქმეების წინასწარ განმხილველი შტატგარეშე კომისიის თავმჯდომარემ პ. ფურცელაძემ, მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ქ. დევდარიანმა, კიცხის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა კ. კურტანიძემ, ახალგაზრდა კომუნისტებმა უ. ჩიტაძემ, ნ. მესხმა, საქართველოს ალკკ ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ე. ბედიაშვილმა, საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის მეორე მდივანმა ა. არევაძემ.

**გამოვიდა...**

## „საქართველოს კომუნისტი" № 1

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის" მიმდინარე წლის პირველი ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — ხუთწლედის მეოთხე წელი; **ფ. მახარაძე** — ვ. ი. ლენინი კრემლში; **ნ. მახარაძე** — გამოჩენილი ლენინელის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „პარტიული ცხოვრება", „საპრობლემო თეორიული სემინარები", „პროპაგანდისტული მუშაობის მეთოდიკა და პრაქტიკა" „ჟურნალისტის ტრიბუნა", „წიგნები, ჟურნალები, გაზეთები", „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია".

## „საქართველოს სახალხო მეურნეობა" № 1

გამოვიდა ყოველთვიური სამეცნიერო-ეკონომიური ჟურნალის „საქართველოს სახალხო მეურნეობის" 1969 წლის პირველი ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია სტატიები და წერილები: მოწინავე — ვ. ი. ლენინი და სოციალისტური ეკონომიკის განვითარების საკითხები; ე. ჯაფარიძე — ხუთწლედის მეოთხე წლის ამოცანები; ა. ჭირაქაძე — საბჭოთა საქართველოს 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი; ვ. ლებანიძე — სოციალისტური მეურნეობიდან სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ბუნების შესახებ; ლ. ქიქოძე — საქართველოს სსრ მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის სტრუქტურა და დინამიკა და სხვ.

# ბჭობენ საქართველოს კოოპერატორები

27 იანვარს გაიმართა ცეკავშირის მუშაკთა აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა 1968 წელს საქართველოს კოოპერატორთა მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგების შეჯამებასა და 1969 წლის ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს.

კრება გახსნა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ქებაძემ.

მოხსენება საქართველოს კოოპერატორთა მუშაობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით მათი ამოცანების შესახებ გააკეთა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. შიხაშვილმა.

მომხსენებელი ფართოდ შეჩერდა ხუთწლედის მესამე წელს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარებისათვის, სოფლად ვაჭრობის კულტურის ამაღლებისათვის გაწეული მუშაობისა და ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ.

ახალი დიდი ამოცანებია დასახული 1969 წელს სოფლის კოოპერატორთა წინაშე. მათ გადაწყვიტეს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

კრების მონაწილეებმა განიხილეს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სოფლად ვაჭრობის კულტურის შემდგომ ამაღლებას, საზოგადოებრივი კვების ქსელის განვითარებას, პროდუქტების დამზადებისა და წარმოების გადიდებას, თვითეული კოოპერაციული ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებას. ცეკავშირის მუშაკებმა იკისრეს საქონელბრუნვის წლიური გეგმა შეასრულონ 28 დეკემბერს. საექსპლოატაციოდ გადასცემენ 250 ობიექტს.

ხუთწლედის მეოთხე წელს საზოგადოებრივი კვების განვითარებას კვლავ დიდი ყურადღება დაეთმობა. პრაქტიკამ ცხადყო, რომ პატარა დასახლებულ პუნქტებში, საველე ბანაკებში, საძოვრებზე, პლანტაციებსა და მეცხოველეობის ფერმებში მიზანშეწონილი არ არის სტაციონარული სასადილოების აშენება. ამიტომ გადაწყდა, ფართოდ გამოიყენონ უფრო ეკონომიური და მოსახერხებელი დატარებითი ვაჭრობა. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების პერიოდში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 1.300 ბრიგადას მოემსახურებიან თვლიანი სასადილოები და კაფეები.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის, საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე პ. ანანიაშვილი. (საქდესი).

# ელექტროტექნიკოსები ქუთაისში თათბირობენ

ქუთაისი, 27 იანვარი. (საქდესი). აქ დამთავრდა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს ტურბოგენერატორების, ჰიდროგენერატორებისა და მსხვილი ელექტრომანქანების წარმოების მთავარი სამმართველოს პარტიული და სამეურნეო აქტივის თათბირი.

თათბირში მონაწილეობდნენ ლენინგრადის გაერთიანება „ელექტროსილის", ხარკოვის „ელექტროტიაჟმაშის" ქარხნის, ნოვოსიბირსკის „სიბელექტროტიაჟმაშის" ქარხნის, ლისვის ტურბოგენერატორების ქარხნის, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წარმომადგენლები.

„გლაველექტროტიაჟმაშის" საწარმოებში დამზადებულია ჰიდროგენერატორები ბრატსკისა და კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურებისათვის, 300 და 500 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბოგენერატორები, მსოფლიოში უდიდესი სერპუხოვის სინქოფაზოტრონი, დიდი ელექტრომანქანები მრეწველობის ბევრი დარგისათვის.

თათბირმა განიხილა ინდუსტრიის ამ დარგის მუშაობის 1968 წლის შედეგები, განსაზღვრა მიმდინარე წლის ამოცანები.

„გლაველექტროტიაჟმაშის" უფროსის გ. დიაჩენკოს მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორი ვ. ხარებავა, ქარხანა „ელექტროტიაჟმაშის" პარტკომის მდივანი გ. გრიგორაში, „ელექტროსილის" მგრაგნელთა ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი ი. ვრუბლევსკი და სხვები.

თათბირის მონაწილეებმა ახალი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.



მარგანეშენის ტრესტის სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობის სამმართველოს კოლექტივმა დიდი შრომა გასწია ჭიათურაში ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკის აგებისათვის. ამ ფაბრიკა-გიგანტის მშენებლობაზე დაწინაურდა უბანი, რომელსაც მ. იაკუბა ხელმძღვანელობს.

• • •

**სურათზე:** უბნის უფროსი მ. იაკუბა (ცენტრში) დავალებას აძლევს ახალგაზრდა მშენებლებს.

ფოტო ა. მაჟავარიანისა.

# საზღვარგარეთის ცხოვრება

## ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომა

**პრაღა, 28 იანვარი. (საქდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა პოლიტიკური მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი ამბების თვალსაზრისით.**

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა, ნათქვამია ცნობაში, დიდად დააფასა მოქალაქეთა და ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობის გონივრული მოქმედება, რომლებიც არ ჩაებნენ წინდაუხედავ კამპანიაში, რომლის გაღვივებასაც ცდილობდა ზოგიერთი ექსტრემისტული ელემენტი.

პრეზიდიუმი მადლობას უცხადებს ყველას, ვინც თავისი სიმშვიდით ცხადყო, რომ ეთანხმება და მხარს უჭერს პარტიის პოლიტიკურ ხაზსა და მის მისწრაფებას, რომ დაძლიოს დაძაბულობა საზოგადოებაში რესპუბლიკის პრეზიდენტის ლ. სვობოდას და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ო. ჩერნიკის მოწოდებათა შესაბამისად.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მადლობა გადაუხადა ეროვნული უშიშროების კორპუსის ორგანოების მუშაკებს, რომლებმაც თავდადებული და ენერგიული მოქმედებით აღადგინეს სიმშვიდე რესპუბლიკის დედაქალაქსა და სხვა ადგილებში, სადაც ანტისაზოგადოებრივი ძალებისა და სხვადასხვა ელემენტების ჯგუფები ცდილობდნენ მდგომარეობის გამწვავებას, მოქალაქეთა ტერორიზებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საზოგადოებრიობაში დღემდე არის დაძაბულობა, რომ კვლავაც მოსალოდნელია ცდები ისევ გამოიწვიონ შფოთი, ანტისაზოგადოებრივი თუ ანტისოციალისტური ხასიათის სხვადასხვა პროვოკაცია. ამიტომ პრეზიდიუმი მოუწოდებს ყველა კომუნისტს ერთსულოვნად იმოქმედონ, აქტიურად დაუჭირონ მხარი პარტიის ხელმძღვანელობის, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის ცდებს, რომ აღადგინონ სიმშვიდე.

პრეზიდიუმი მოელის, ნათქვამია შემდეგ ცნობაში, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ინფორმაციის საშუალებათა ორგანოების კომუნისტები მთელ ძალღონესა და უნარს მოახმარენ პარტიის თანამედროვე პოლიტიკის, მოქალაქეთა საერთო ინტერესების დაცვას, რომ ხელს შეუწყობენ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის მისწრაფებათა სწორად გაგებას და საზოგადოებაში მშვიდი, კონსტრუქციული მუშაობის ხელშემწყობი ატმოსფეროს შექმნას.

## კომუნისტთა წარმატება

**პარიზი, 27 იანვარი. (საქდესი). გუშინ მარტიგეში (ბუშ-დიუ-რონის დეპარტამენტი) გამართულ ნაწილობრივ მუნიციპალურ არჩევნებში კომუნისტმა კანდიდატებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. საფრანგეთის კომპარტიის ოთხმა წარმომადგენელმა დაიკავა ოთხივე ვაკანტური ადგილი.**

**მარტიგის მუნიციპალურ საბჭოში ამიერიდან არის 27 კომუნისტი მრჩეველი.**

## მშრომელთა მოთხოვნების მხარდასაჭერად

**რომი**, 28 იანვარი. (საქდესი). **მეორე დღეა მემარცხენე ოპოზიციის დეპუტატებს უკავიათ სოლქო პარლამენტის შენობა სიცილიის კუნძულზე.** იტალიის კომპარტიისა და იტალიის პროლეტარული ერთობის სოციალისტური პარტიის პარლამენტარებმა ამრიგად გადაწყვიტეს მიაპყრონ საზოგადოებრიობის ყურადღება სიცილიის მშრომელთა მძიმე მდგომარეობას. ხელისუფალნი უარს ამბობენ დააკმაყოფილონ სიცილიელ მშრომელთა მოთხოვნები ხელფასის მომატების შესახებ, რომელიც ჩრდილოეთ იტალიის მუშათა ხელფასზე გაცილებით მცირეა. კუნძულზე არ გადაწყვეტილა იმ სიცილიელთა ბედიც, რომლებიც მიწისძვრისაგან დაზარალდნენ 1968 წლის დამდეგს და აქამდე ცხოვრობენ ბარაკებსა და კარვებში.

## რ. ნიქსონის პრეს-კონფერენცია

**ვაშინგტონი, 27 იანვარი. (საქდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა თეთრ სახლში გამართა თავისი პირველი ოფიციალური პრეს-კონფერენცია, რომელიც გადასცეს რადიოთი და ტელევიზიით.**

თავის გამოსვლაში პრეზიდენტმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ დაიწყო პარიზის მოლაპარაკება ვიეტნამის საკითხზე და იმედი გამოთქვა, რომ პარიზში მიღწეულ იქნება პროგრესი, თუმცა იქვე დასძინა მოგველის „მოლაპარაკების ძნელი რაუნდიო".

უპასუხა რა კორესპონდენტების კითხვებზე, ნიქსონმა განაცხადა, მხარს ვუჭერ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას და ახლა საკითხი ის არის, თუ სახელდობრ როდის იქნება რატიფიცირებული ხელშეკრულებაო.

ნიქსონმა თქვა აგრეთვე, რომ მხარს უჭერს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებას სტრატეგიული ატომური იარაღის შემცირების შესახებ.

ახლო აღმოსავლეთის საკითხის გამო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განაცხადა, მზად ვარ მოვისმინო ყოველი წინადადება, რომლის მიზანი იქნება ამ რაიონში კრიზისის ლიკვიდაციაო.

ნიქსონი შეეხო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისადმი დამოკიდებულების პრობლემას და ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ წინააღმდეგია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიღებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა ვარშავის მოლაპარაკების დროს თებერვალში გამოირკვევა, მოხდა თუ არა რაიმე ცვლილება ჩინეთის პოზიციაში. რ. ნიქსონმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს წარადგინოს კონგრესის განსახილველად ახალი საკანონმდებლო პროგრამა.

## მსოფლიო დღეს

ქრონიკა • მოვლენები

## დაძაბულობა ძლიერდება

**პარიზი, 28 იანვარი. (საქდესი). ესპანეთში საგანგებო წესების გამოცხადებისთანავე გაძლიერდა პოლიციელთა კონტროლი, განსაკუთრებით ანდორის რესპუბლიკისაკენ მიმავალ გზებზე, იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.**

**სპეციალურმა შეიარაღებულმა რაზმებმა ჩაკეტეს ყველა ავტოსტრადა. ისინი აჩერებენ ესპანეთისა და უცხოეთის ავტომანქანებს და ამოწმებენ საბუთებს.**

**ყველგან მიმდინარეობს დიდი სამხედრო ნაწილების ინტენსიური ადგილგადანაცვლება, რომლებიც ესპანეთის პროვინციების დედაქალაქებისაკენ მიემართებიან.**

## სატოს გამოსვლა პარლამენტში

**ტოკიო**, 27 იანვარი. (საქდესი). **იაპონიის მთავრობა აპირებს კვლავაც განაგრძოს იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულების შენარჩუნების პოლიტიკა, განაცხადა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა სატომ სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა იაპონიის პარლამენტის მორიგი სესიის გახსნის დროს.**

პრემიერ-მინისტრმა გარკვევით ვერაფერი ვერ თქვა იაპონიაში ამერიკის ბაზების ბედის თაობაზე. მან მხოლოდ აღნიშნა, რომ ეს საკითხები ამერიკელთა იურისდიქციაშია.

კონკრეტულს არაფერს არ შეიცავდა პრემიერის სიტყვა საშინაო ცხოვრების ისეთ მწვავე პრობლემებზეც, როგორიცაა ფასების ზრდა, საბინაო კრიზისი, უმაღლესი განათლების სისტემის კრიზისი.

იაპონიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა იანაგიდამ, დაახასიათა რა პრემიერ-მინისტრის დღევანდელი გამოსვლა, თქვა, მან ხალხის იმედები ვერ გაამართლაო.

## მოითხოვენ სუეცის არხის ნორმალური მუშაობის აღდგენას

**ნიუ-იორკი**, 28 იანვარი. საქდესის კორესპონდენტი ს. ლოსევი იუწყება:

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კულუარებში და მის გარეთ სულ უფრო დაბეჯითებით გაისმის მოწოდება აღადგინონ სუეცის არხის ნორმალური მუშაობა.** ოც თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიხურა სუეცის არხი და მიმოსვლა შეწყდა 1967 წელს ისრაელის ივნისის აგრესიის შედეგად. ამ უმნიშვნელოვანესი არხის უმოქმედობა ულიდეს ზარალს აყენებს საერთაშორისო ნაოსნობას. მკითხველი ბოხდან ნაგორსკი „ნიუ-იორკ ტაიმსის" რედაქციისათვის გაგზავნილ წერილში, რომელიც ამ გაზეთში გამოქვეყნდა, აღნიშნავს, რომ არხის დახურვის გამო დასავლეთი ევროპა სულ ცოტა ერთ მილიარდ დოლარს ზარალობს წელიწადში".

ბევრი განვითარებადი ქვეყანა, — წერს ნაგორსკი, — იძულებულია იკისროს მძიმე ტვირთი, დამატებითი ხარჯები გასწიოს ოკეანის გემების დასაფრახტავად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის სწრაფად და მთლიანად განხორციელება, ხაზგასმულია წერილში, რადიკალურად გადაწყვეტდა სუეცის არხში ნაოსნობის განახლების საკითხს.

მონაცემებს იმის შესახებ, თუ რა მძიმე შედეგები მოჰყვა დასავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნების ეკონომიკისათვის სუეცის არხის დახურვას, შეიცავს აგრეთვე კრებული „ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები ახლო აღმოსავლეთში", რომელიც ამერიკის პოლიტიკური კვლევის ინსტიტუტმა გამოსცა. 1967 წლის ივნისამდე, აღნიშნულია კრებულში, სუეცის არხზე მოდიოდა დასავლეთ ევროპის ნავთობის იმპორტის ორმოცამდე პროცენტი. მიუხედავად სუპერტანკერების გამოყენებისა, კეთილი იმედის კონცხის გარშემო შემოვლითი გზა უფრო ძვირი ჯდება და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, ავტორების გამოანგარიშებით, მოსდის ზარალი, რომელიც შეადგენს ერთ მილიარდ დოლარს წელიწადში, აქედან 250 მილიონ დოლარს წელიწადში ზარალობს ინგლისი და 135 მილიონს — საფრანგეთი.

არხის მუშაობის განახლებას ხელს უშლიან ისრაელი ექსტრემისტები და მათი იმპერიალისტი მფარველნი, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ ხელი ავანტიურისტულ ვარაუდზე, რომ ჩაფუშავენ ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევას უშიშროების საბჭოს ნოემბრის რეზოლუციის საფუძველზე.

## კრიზისის შედეგები

**ლონდონი, 28 იანვარი. (საქდესი). ინგლისის დავალიანებამ უცხოეთის სესხით 3.414 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწია. ეს თემთა პალატაში განაცხადა ფინანსთა სახელმწიფო მინისტრმა დიკ ტავერნმა წერილობითი შეკითხვის პასუხად.**

**კოლოსალური საგარეო დავალიანების შედეგად არა მარტო იზრდება ინგლისის ვალები, არამედ იგი სულ უფრო დამოკიდებული ხდება უცხოელ ბანკირთა დიქტატზე, რომლებიც ურცხვად ერევიან ამ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში.**

## სასჯელის უმაღლესი ზომა

**პარიზი, 28 იანვარი. (საქდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბაღდადიდან იუწყება, გუშინ იქ სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით ჩამოახრჩვეს 11 კაცი ისრაელის სასარგებლოდ ჯაშუშობისა და ერაყის ახლანდელი მთავრობის დამხობის ცდისათვის.**

**კიდევ ოთხი კაცი სიკვდილით დასაჯეს ბასრაში ასეთი დანაშაულისათვის.**

## ახალი პროვოკაციული აქტები

**ჰანოი, 27 იანვარი. (საქდესი). შეერთებულმა შტატებმა ახალი პროვოკაციული მოქმედება ჩაიდინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.**

**ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებაში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ 23 და 24 იანვარს ამერიკის „ბ-52" ტიპის მძიმე სტრატეგიულმა ბომბდამშენებმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხრეთით კუანგბინის პროვინციაში დაბომბეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები.**

**განცხადებაში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა, აღნიშნულია, რომ ეს თავდასხმები შეერთებული შტატების ყველაზე სერიოზული სამხედრო აქტი იყო მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გამოაცხადა, რომ უპირობოდ წყვეტს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის დაბომბვას.**

**ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ხაზგასმულია განცხადებაში, გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა ამ დანაშაულებრივ მოქმედებას და მოითხოვს, რომ შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტოს აგრესიული მოქმედება ვიეტნამში, სამუდამოდ აიღოს ხელი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და უშიშროების ხელყოფაზე, გაიყვანოს თავისი და სატელიტი ქვეყნების ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან და მიანიჭოს სამხრეთვიეტნამელ ხალხს უფლება თვითონ გადაჭრას თავისი საშინაო საქმეები სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოლიტიკური პროგრამის საფუძველზე.**

### მოგზაურობა ფოტოკარტით



რანგუნი. ბირმის კავშირის რევოლუციური საბჭოს რეზიდენციის შენობა.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

## უცხოური კალეიდოსკოპი

## კოსმოსური ბიზნესი

**რეგულარული** კომერციული რეისები მთვარეზე? ეს ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, ფანტასტიკაა. მაგრამ იმ ვარაუდით, რომ ეს შეიძლება რეალობად იქცეს და მომგებიანი საქმე გახდეს, ამერიკის ავიაკომპანიებმა უკვე შეუდგნენ „კოსმოსური ტურისტების" შეგროვებას.

ჯერ კიდევ არარსებული ტურისტული კოსმოსური ხომალდის პირველ რეისზე ყველა ადგილი უკვე დაკავებულია. დედამიწის თანამგზავრზე მოხვედრის მსურველთა რიგი დღითიდღე იზრდება. როგორც გაზეთები იუწყებიან, ავიაკომპანია „პანამერიკენი" ნიუ-იორკის სალაროში მთვარეზე გასაფრენი ბილეთი უკვე დაჯავშნა 200-მდე კაცმა. მათ შორის, არის ამერიკის პრეზიდენტობის ყოფილი პრეტენდენტი რეაქციონერი ბარი გოლდუოტერი.

მთვარეზე გასაფრენი ბილეთების დაჯავშნა დაიწყო აგრეთვე კომპანია „ტრანს-უორლდ ეირლაინსმა", უფრო მეტიც, მან თავის ცნობარებში შეიტანა განაცხადის წარდგენის წესი. მასში ნათქვამია, რომ მთვარეზე გაფრენის შესახებ განაცხადი „მიიღება კომპანიის სალაროებში მსოფლიოს ყველა კუთხეში".

კომპანიები ამტკიცებენ, რომ ისინი მკაცრად დაიცავენ რიგს, როცა საქმე მთვარის რეისების პრაქტიკულ განხორციელებაზე მიდგება. „თვითეულ დამკვეთს აცნობებენ, თუ როდის არის დანიშნული მისი რეისი", — აცხადებს „ტრანს-უორლდ ეირლაინსის" წარმომადგენელი.

კომპანიები უხვად იძლევიან დაპირებებს. თუმცა რა ენაღვლებათ, ენთუზიასტთა გრძელი სიების შენახვის ფასად ხომ ისინი საკმაო მოგებას იღებენ?

## ფრთოსანთა გადასარჩენად

**დიდმა** თოვლმა ირანის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით, იმ ადგილებში, სადაც გადამფრენი ფრინველები იზამთრებენ, გამოიწვია ის, რომ ფრინველი საკვების უქმარისობის გამო მასობრივად განადგურდა და იგი ბრაკონიერების მიერ მასობრივი მოსპობის ობიექტი გახდა. გაზეთი „ქეიხან ინტერნეშნლი" წერს, რომ გარეულ ცხოველთა დაცვის ეროვნულმა საბჭომ ფრინველის გადასარჩენად და სათანადო ღონისძიებების მისაღებად ქ. შაჰაბადში (დასავლეთი ირანი) თავის თანამშრომელთა ჯგუფი გაგზავნა. მაშველი ჯგუფის ხელმძღვანელმა განაცხადა: „იმ ფრინველთა რიცხვი, რომლებიც კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მრავალ ათეულ ათასს აღწევს".

ჩვეულებრივ გადამფრენი ფრინველები თავს იყრიან შაჰაბადის მთიან რაიონებში და დაბურულ ტყეებში. ახლა კი საკვების საშოვნელად ბარში ჩაფრინდნენ და იქ ბრაკონიერთა მსხვერპლი გახდნენ. გარეულ ცხოველთა დაცვის საბჭო სასწრაფო ღონისძიებებს ახორციელებს ფრთოსანთა გადასარჩენად. ბარის დიდ ფართობებზე აბნევენ ასობით კილოგრამ საკვებს.

## ჩინეთის ამბები

ჩინეთის დედაქალაქში გაკრულია ლოზუნგები, „დავამხოთ ისინი, ვინც თავმჯდომარე მაოს წინააღმდეგ გამოდისო". უცხოელ მეთვალყურეთა აზრით, ამგვარი ლოზუნგები მოწმობენ, რომ მაოისტთა საახალწლო მოწოდებამ „გავაერთიანოთ რევკომებში აზრები და მოქმედება მაოს იდეების საშუალებითო", როგორც ჩანს, ვერ მიაღწია მიზანს ვერც პროვინციაში, ვერც პეკინში.

უკვე მეოთხეჯერ ხდება „რევკომების რეორგანიზაცია" დედაქალაქის საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხანაში. ახლახან გამოშვებულ დაძიბაოში ქარხნის „ძაოფანები" წერენ, რომ თვითონ ვერ გაურთმევიათ თავი „დამყაყებული მდგომარეობისათვის" თავიანთ საწარმოში, და დახმარებას სთხოვენ საზოგადოებრივი უშიშროების მინისტრს სე ფუ-ჯის, რომელიც ამავე დროს პეკინის „რევკომის" თავმჯდომარეა. ქარხანაში გაიგზავნა არმიის შენაერთები.

მაგრამ არმიის აშკარა მონაწილეობა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ვერ უზრუნველყოფს მდგომარეობის სტაბილიზაციას სახელმწიფოში. „რევკომებში" გრძელდება შინაბრძოლა.

დაძაბული ვითარება შეიქმნა, მაგალითად, ძისიანის მაზრაში, რომელიც დედაქალაქის ხებეის პროვინციაში შედის. რამდენიმე დღის ავრცელებდნენ პეკინში ფურცლებს, რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ მაზრაში „სისხლისმღვრელი შეტაკებები მოხდა და მტრებმა ხელში ჩაიგდეს რევკომი". ფურცლების ავტორები აღარ იმოწმებენ „მაოს იდეების ყოვლისშემძლეობას". ისინი მოითხოვენ გაუგზავნონ მაზრაში დამატებითი ჯარები, რათა „მოკვეთონ შავი თათები ლიუ შაოცის აგენტებს".

პეკინის გაზეთები გაურბიან იმის აღნიშვნას, რომ მაო ძე-დუნის ჯგუფის კონტროლს დაქვემდებარებული არმია დამსჯელ ფუნქციებს ასრულებს. მაოისტური ჯარის ქვედანაყოფს უკმაყოფილების ჩასახშობად უფრო ხშირად გზავნიან „მაოს იდეების გამავრცელებელი რაზმების" სახელით. მათ შემადგენლობაში შესანიღბავად გაურევენ ხოლმე რამდენიმე მუშას ან გლეხს. „გუანმინ ჟიბაო" ერთ-ერთ წერილში ასეთი „აგიტბრიგადების საქმიანობის" შესახებ ჯერ კიდევ დაუწყნარებელ ჯეძიანის პროვინციაში იუწყებოდა, რომ მათ „ადგენენ პრინციპით: ათეული — ოცეული — ასეული".

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ამ ბოლო დროს ყველაზე ხშირად სწორედ სამხედროები გამოდიან პრესაში და ეწევიან „მაოს იდეების პროპაგანდას". „ჟენმინ ჟიბაოში" გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში ავტორი — სამხედრო პირი მოუწოდებს „აიღონ თავმჯდომარე მაოს იდეების მძიმე კეტი", რათა „თავი გაუსრისონ ყველა მტერს".

თუ როგორ მოქმედებს „მაოს იდეების კეტი", ამას მოწმობს თუნდაც გადასახლების ადგილად გადაქცეული ჰაინანის კუნძულიდან მიღებული ცნობები. იაპონური „ჯაპან ტაიმსი" იუწყებოდა, რომ სამუშაო დღე ჰაინანის რკინის საბადოებში 16 საათს გრძელდება, ხოლო შემდეგ ორ თუ სამ საათს ქანცგაცლილმა „ახლებურად აღსაზრდელებმა" უნდა „ისწავლონ მაოს იდეები". გაზეთი წერს, რომ ჰაინანის კუნძულსა და ლეიჯოუს ნახევარკუნძულს შორის მდებარე რაიონს პატრულობენ ქვემეხიანი ნავები, რათა დაიჭირონ ვინც გაქცევას მოინდომებს. ბევრი გადასახლებული ილაჯგამწყვეტი მუშაობისა და შიმშილისაგან კვდება.

ჩინეთის ზოგიერთ რაიონში მკაცრი დამსჯელი ღონისძიებებით იმათ წინააღმდეგ, ვინც არ ემორჩილება „მაოს შტაბის" დირექტივებს, თითქოს აღადგინეს წესრიგი. მაგრამ იქაც წინააღმდეგობა საბოლოოდ არ არის ჩახშობილი. შიდამონღოლეთის გაზეთი „ნეიმინგუ ჟიბაო", მაგალითად, ამას წინათ იუწყებოდა, რომ „რამდენიმე პირი", რომლებიც მოითხოვენ ჩინეთის ამ დიდი ეროვნული რაიონის პარტიული ხელმძღვანელის ულანფუს რეაბილიტაციას, რომელიც მაოისტებმა დააპატიმრეს, „იატაკქვეშ გადავიდა". გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ამ არალეგალურ ჯგუფს „აქვს განშტოებული ორგანიზაცია, ბრძოლის გეგმა და თავისი პროგრამა". და ეს პირველად როდი აღინიშნება პრესაში, რომ „ფარული ორგანიზაციების საქმიანობის ასპარეზი ჩინეთში მეტად გაფართოვდა", როგორც ეს გაკვრით ნათქვამია „ჟენმინ ჟიბაოს" ერთ-ერთ წერილში.

(საქდესი, 27 იანვარი).

## მხოლოდ ფაქტები

● **ფხენიანი, 28 იანვარი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა პაკ ჩუნ გუკმა პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები კვლავ არღვევენ შეთანხმებას კორეის დაზავების შესახებ და პროვოკაციებს აწყობენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ.**

● **ბონი**, 28 იანვარი. (საქდესი). **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი შრედერი გუშინ ჩავიდა ჩრდილოეთ ბავარიაში, სადაც ხვალ დაიწყება ნატოს დიდი მანევრები „რეფორჯერი". ამას იუწყება გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ". ამ პროვოკაციული მანევრების რაიონი გრაფენვერის სამხედრო პოლიგონიდან ჩეხოსლოვაკიის საზღვრამდეა.**

**ამ მანევრებში, რომელსაც სოციალისტური ქვეყნების საზღვრებთან სამხედრო დემონსტრაციის ხასიათი აქვს, როგორც გაზეთი ამბობს, „პირობითად გამოიყენებენ „ატომურ ნაღმებსა" და სხვა სახეობათა „ატომურ იარაღს".**

● **ნიუ-იორკი**, 28 იანვარი. (საქდესი). ქალაქ სიეტლში (ვაშინგტონის შტატი) მოკლეს ზანგთა ადგილობრივი ორგანიზაციის „ქალაქის ლიგის" ლიდერი 38 წლის ედვინ პრეტი. შაშხანის ტყვიამ ბოლო მოუღო მას კვირა საღამოს, როცა საკუთარი სახლის კარს აღებდა. მკვლელთა კვალს ვერ მიაგნეს.

● **ვაშინგტონი, 28 იანვარი. (საქდესი). პენტაგონში შეიმუშავეს 100 მილიარდი დოლარის შეიარაღების ახალი „შესასყიდი სია", წერს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო ცენტრებთან ახლო მდგომი ყოველკვირეული „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტი".**

**ეს თანხა თითქმის 20 მილიარდით აღემატება ამერიკის შეერთებული შტატების 1969 წლის საფინანსო წლის ისედაც გაბერილ სამხედრო ბიუჯეტს.**

## უნგრეთის მინისტრი საქართველოში

**საქართველოში ოთხ დღეს იმყოფებოდა უნგრეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრი, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ფედერაციის თავმჯდომარე არპად კიში.** დელეგაცია, რომელსაც იგი მეთაურობს, იყო საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს სტუმარი.

დელეგაციის წევრები დაწვრილებით გაეცნენ საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქმიანობას, შეხვდნენ რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს **მ. ლობჟანიძეს**, ეწვივნენ თბილისის ელმავალსაშენებელ ქარხანას, მთელ რიგ სხვა სამრეწველო საწარმოებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

უნგრელმა მეგობრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს სასწავლო პროცესის დაყენებისა და წარმოებასთან უნივერსიტეტის კათედრებისა და პრობლემური ლაბორატორიების კავშირისადმი. მათ გამოთქვეს სურვილი დამყარდეს კონტაქტები ბუდაპეშტისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის.

უნგრეთის დელეგაცია მიიღო საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **შ. კიკნაძემ.** საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე **ე. ლუდუშაური**, პროფსაბჭოს მდივნები **ვ. ლოლობერიძე, დ. იოსელიანი** და **ო. ცანავა.** (საქდესი).



მტაცებელი ხმელთაშუა ზღვის წყლებში.

ნახ. ჟურნალ „პოლსკოე ობოზრენიედან".

## ყველაზე იტალიური ქალაქი

### ნეაპოლი — „მილიონერების ქალაქი" ამერიკის კრეისერების ალყაში

**იტალიაში** ვერ ნახავთ კაცს, რომ გულგრილი იყოს ყველაზე იტალიურ — უცხოელის თვალსაზრისით — ქალაქ ნეაპოლისადმი. უმრავლესობა, მათში არ შედიან ნეაპოლელები, მას არც თუ სახარბიელო ეპითეტებით ამკობს, უმცირესობას კი, მას ძირითადად ნეაპოლელები ეკუთვნიან, თავდავიწყებამდე უყვარს ეს ქალაქი.

მაგრამ არ დაუჯეროთ მათ, ვინც ნეაპოლს აძაგებს. მის შესახებ იტალიაში ლაპარაკობენ, როგორც ოჯახში ყველაზე საყვარელ, მაგრამ უზომოდ ცელქ ბავშვზე, რომელიც ბევრ უსიამოვნებას აყენებს ხოლმე ახლობლებს. სულის სიღრმეში იტალიელს არ შეიძლება არ უყვარდეს ნეაპოლი — ეს არის თვით იტალია მისი ბრწყინვალებითა და სიღატაკით, მისი ნიჭიერი ხალხით, რომელსაც ღია და კეთილი გული აქვს.

უჩვეულოდ ლამაზია ეს ქალაქი, ნეაპოლის ყურეში თვალუწვდენელ სივრცეზე რომ არის გაშლილი. იგი პოიცუოლის მახლობლად მდებარე ვულკანის კეხიან სილუეტთან იწყება და ზოლად გრძელდება ვეზუვამდე, ხოლო შემდეგ ფაიტოს მთამდე, და შეუმჩნევლად იმ ქალაქების ჯაჭვს ქმნის, რომლებიც 79 წლის კატასტროფის ადგილზე წარმოიშვნენ. მიდიხართ ნეაპოლში და აქეთ-იქით ქუჩების სახელწოდების ნაცვლად ქალაქების სახელებს კითხულობთ: ჰერკულა, პომპეი, კასტელამარე დი სტაბია... მარცხნივ ეს ქალაქები ზღვის სანაპირომდე ეშვებიან, მარჯვნივ ვეზუვის ფერდობებზე მიიწევენ. როცა შორიდან ვულკანს უცქერი, ღრუბლის ქულები თეთრ ქუდად რომ დაუხურავს, ასე გგონია, ექიდნური ღიმილით შეჰყურებსო მოფუსფუსე ადამიანებს, რომლებსაც დავიწყებიათ, თუ რა სიურპრიზები იმალება მის წიაღში. თუმცა მოდით ნუ ვიქნებით ეგზომ მკაცრი ნეაპოლელების მიმართ, რომლებიც საკვებით გასაგებ გულგრილობას იჩენენ ვეზუვის ერთობ ჰიპოთეზური საშიშროების მიმართ. მათ აქვთ გაცილებით უფრო დიდი ტრაგედია და საზრუნავი, რაც მათს დღევანდელ და ხვალინდელ დღესთან არის დაკავშირებული. ნეაპოლელთა ამ შიშსა და საზრუნავს იოლად შეამჩნევს აქ გავლით ჩამოსული მგზავრიც კი. არ შეიძლება აღტაცება არ გამოიწვიოს ნეაპოლის სადარბაზო შესასვლელმა, სანტა-ლუჩიას სანაპიროზე რომ უმღერიან, ვია-კარაჩოლოს საუკუნოვანმა პალმებმა, კასტელნდოვოს მკაცრმა ფორმებმა, მეფის სასახლის მუქი წითელი ფერის სასახლემ, ქალაქის თავზე აღმართულმა სან-მარტინოს უძველესმა მონასტერმა, რომლისკენაც მიდის ძველი ნეაპოლის ათასობით ვიწრო ქუჩა.

და აი ქალაქის ამ ნაწილშიც კი შეიძლება ნახოთ ისეთი რამ, რაც უხეშ დისონანსად ჟღერს ქალაქის საერთო პანორამის სილამაზით შექმნილ იდილიაში. სანტა-ლუჩიას სანაპიროდან, სამხედრო ხომალდების მუქი ნაცრისფერი ანძების ტყის იქით, აღარ ჩანს ყურის რკალის მოპირდაპირე მხარე. ნეაპოლის ყურეში რეიდზე დგანან ამერიკის მე-6 ფლოტის ხომალდები. გემებზე წარამარა ეწყობა სამხედრო სწავლება, იღება ჯავშნიანი საბრძოლო კოშკურები, საიდანაც გამოაგორებენ ხოლმე ატომურთავიან რაკეტებს. ისინი წამდაუწუმ ქმნიან საშიშროებას, რომელიც ასჯერ უფრო ძლიერია და უშუალო, ვიდრე ის, რაც მძინარე ვეზუვის წიაღშია.

ამერიკელთა ყოფნას ამ ქალაქში ყოველ ნაბიჯზე გრძნობთ: სასტუმროში, რესტორანში, ლიფტში, ქუჩებში გაიგონებთ ინგლისურ ენაზე ლაპარაკს. ნასვამ ამერიკელ მეზღვაურთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები დაეხეტებიან ოდნავ განათებულ ქუჩებში და ფასიან თუ უფასო სიამოვნებას ეძებენ, უმიზეზოდ უხირდებიან გამვლელებს, ხულიგნობენ. ჩემს თვალწინ სამმა მთვრალმა მეზღვაურმა, ძლივს რომ მიბარბაცებდნენ ვია-რომაზე, წაბლის გამყიდველს მაყალი გადაუბრუნა, ხარხარით ჩაიარა და მაღაზიების ვიტრინებზე ჩამოშვებულ ჟალუზებზე მუშტებს უბრახუნებდა. საბრალო გამყიდველმა, ტროტუარიდან წაბლს რომ კრეფდა, ამერიკელებს წყევლა-კრულვა დაადევნა: „მაგათ დაღუპეს ნეაპოლი, მთელი იტალია!.."

ამას წინათ ერთმა იტალიურმა ჟურნალმა გამოაქვეყნა ფაქტები, რომლებსაც გავლენიანი ჟურნალ-გაზეთები დუმილით უვლიან გვერდს. როგორც ირკვევა, ნეაპოლის ნავსადგური, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში, უკვე რამდენიმე წელია თითქმის სრულიად არ ასრულებს თავის ჩვეულებრივ დანიშნულებას — კომერციული გემების მიღებასა და მომსახურებას. მისი ნავსაყუდელები თითქმის მთლიანად ამერიკის მე-6 ფლოტის განკარგულებაშია — ვინ იცის რა დროს დასჭირდება ამერიკის კრეისერებს სასწრაფო რემონტი.

ქალაქში, სადაც 1.200 ათასი მცხოვრებია, მრეწველობა ჩანასახ მდგომარეობაშია. ასობით ათასი კაცი იძულებულია შემთხვევითი შემოსავლით დაკმაყოფილდეს. ამიტომ არის, რომ ნეაპოლი ევროპასა და ამერიკაში იტალიური ემიგრაციის ძირითადი კერაა. მარტო 1968 წლის პირველ ექვს თვეში სამშობლო დატოვა 135 ათასმა კაცმა. სულ ამჟამად უცხოეთში იმყოფება დაახლოებით ხუთი მილიონი იტალიელი. ეს მთელი მშრომელი მოსახლეობის თითქმის მეოთხედია. ნეაპოლში განსაკუთრებით გრძნობ, რომ იტალიელები თავისი ქვეყნიდან დაღხინებული ცხოვრების გამო არ გარბიან. გარბიან და დიდი ხნით ემშვიდობებიან თავიანთ ოჯახებს, ნათესავებსა და ახლობლებს. ისინი, ვინც უცხოეთში სამშობლოსთან ახლოს ცხოვრობენ, ახერხებენ გზის ფულის მოგროვებას და საშობაო დღესასწაულებზე შინ ჩამოსვლას. ამ რამდენიმე დღის წინათ სამხრეთისაკენ მიმავალი მატარებლები ემიგრანტებით იყო სავსე.

ავტოსტრადით ნეაპოლს რომ ვუახლოვდებოდით, უძველესი კაპუის შორიახლოს გაჩერდი, სადაც ოდესღაც სპარტაკისა და კრასის ცნობილი შეტაკება მოხდა. აქედან გვერდზე უნდა გადაგვეხვია და შორი გზით მოგვევლო, ვინაიდან ცოტა ხნით ადრე შეწყვეტილ კოკისპირულ წვიმებს ავტოსტრადა ჩაეკეტათ. უნდა გენახათ ამ დროს ერთი ნეაპოლელი ემიგრანტის სასოწარკვეთილებით სავსე სახე, როცა მან გაიგო, რომ მშობლიურ ქალაქში ორი-სამი საათით გვიან ჩავიდოდა. „ნუთუ არ შეიძლება რისკი გავწიოთ? — ეხვეწებოდა იგი ავტოსტრადის მსახურს. — იქ ხომ ათასი ვინმე მელოდება. ალბათ სუფრაც გაშლილია. დეიდა ტერეზა კი მხოლოდ მე მელოდება, რომ ქვაბში ჩვენებური მაკარონი ჩაყაროს. შენ გესმის თუ არა, მაკარონი, და არა ის დაწყეველილი გერმანული კარტოფილი!" — ცხარობდა იგი.

შემდეგ მესმოდა, თუ როგორ შეუკვეთა ნეაპოლელმა ტელეფონით საუბარი თავისიანების მეზობელთან, როგორ გამოიძახა ვიღაც ჯუზეპე და დიდხანს ჩაჰყვიროდა ყურმილში, რომ მას დაელოდონ, რომ მას ყველასათვის საჩუქრები მიაქვს, ხოლო დეიდა ტერეზასათვის — ყველაზე ძვირფასი, და რომ მაკარონი წინასწარ არ ჩაეყარათ, ვინაიდან დასველდება და ისეთივე უგემური იქნება, როგორიც გერმანიაშიაო.

ასეთები არიან ნეაპოლელები. ასეთია ნეაპოლი — „მილიონერების ქალაქი", ბედისაგან დამცირებული, მაგრამ მაინც შეურიგებელი და უკეთესი ხვედრისათვის მებრძოლი. იშვიათია დღე, რომ აქ სოციალური გამოსვლა არ მოხდეს — გაფიცვა, მასობრივი დემონსტრაცია, მიტინგი. ამ ბრძოლამ კულმინაციას მიაღწია ამას წინათ კამპანიის ოლქში — მხარის ეკონომიური აღორძინებისათვის გამართულ საყოველთაო გაფიცვის დროს. ამ გაფიცვამ ცხადყო, თუ რა ერთსულოვნად გამოდიან ნეაპოლელები თავიანთი უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად. ამ ბრძოლაში ერთმანეთის მხარდამხარ იდგნენ მუშები, მოსამსახურეები, ხელოსნები, სტუდენტები, უმუშევრები. ასეთია ნეაპოლი — ყველაზე იტალიური ქალაქი, რომლის შესახებაც იტალიის ჩრდილოეთის ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები ზიზღით ლაპარაკობენ როგორც „აფრიკის შესახებ საკუთარ სახლში".

**ი. ბოჩაროვი,**
ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი
ნეაპოლი — რომი.

# ჩვენს ქვეყანაში

## ილიჩის ნათურები ჯუთაში

ყაზბეგი. (საკ. კორ.). კავკასიონის მაღალ მთებშია შეფარებული ხევსურთა პატარა სოფელი ჯუთა, რომლის უხუცეს მცხოვრებლებს კარგად ახსოვთ დუხჭირი წარსული, რევოლუციამდე სოფელში ერთადერთ კაცს სცოდნია წერა-კითხვა, ხალხი აუტანელ სიბნელესა და გაჭირვებაში ცხოვრობდა. ჯუთაში მისვლა მხოლოდ საცალფეხო ბილიკით შეიძლებოდა. ქალაქში ნაყიდ ნავთსა და მარილს ხევსურები ზურგით და ცხენით ეზიდებოდნენ. საქართველოში მაშინ ბევრმა ამ პატარა სოფლის არსებობაც კი არ იცოდა.

ახლა ჯუთას ვეღარ იცნობთ. წარსულს ჩაბარდა სიბნელე და სიღატაკე. სოფელს აქვს საკუთარი სკოლა, სამეანო საფერშლო პუნქტი. სოფლის კულტურული ცხოვრებისათვის მთავრობა ყოველწლიურად ხარჯავს ათასობით მანეთს. ბევრმა ჯუთელმა მიიღო უმაღლესი განათლება, ერთი მათგანი — ინჟინერი გ. არაბული ამჟამად არაბეთში იმყოფება და ტექნიკურ დახმარებას უწევს ეგვიპტელ მეგობრებს.

მიწური ქოხების ნაცვლად სოფელს ამშვენებს ლამაზი საცხოვრებელი სახლები, ჯუთაში თავისუფლად ადიან ავტომანქანები. ამას წინათ დამთავრდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, ყველა ჯუთელის ოჯახში აკიაფდა ილიჩის ნათურა და ამით, როგორც იტყვიან,... ჯუთას დამარცხდა სიბნელე. ხევსურთა დიდ სიხარულზე მკითხველს საინტერესოდ მოუთხრო რაიონულმა გაზეთმა „დარიალმა“ სპეციალურ გვერდში, რომელიც მიძღვნილია დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

## ბულგარეთიდან — რუსთავში

რუსთავი, 28 იანვარი. (საქინფორმი). ბულგარეთიდან 30 ჭაბუკი ჩამოვიდა რუსთავში, სადაც ისინი მეტალურგიულ ქარხანაში ისწავლიან მილსადინავი წარმოების ოსტატთა პროფესიას.

— ქალაქი რუსთავი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ბულგარელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა პეტკო პანომა, — კარგი სკოლაა ჩვენთვის. ჩვენამდე აქ პრაქტიკას გადიოდა 75 ჩვენი თანამემამულე. რუსთავმა ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. არ გჯერა, რომ ეს ქალაქი სულ 20 წლისაა. თქვენი მეტალურგიული ქარხანა თანამედროვე საწარმოა. ძალიან გვიხარია, რომ ვისწავლით თქვენთან მეტალურგის ძნელ, მაგრამ საპატიო პროფესიას.

## პრესის მეგობარი

გურჯაანი. (საკ. კორ.). ათას სულ მოსახლეზე ათასი ცალი ჟურნალი და გაზეთი ახლა გურჯაანის რაიონში არავის აკვირვებს, მაგრამ ველისციხელ პრესის გამავრცელებელ მერი მელიქაძეს რომ ჰკითხოთ, ზღვარი არც 1.200 ეგზემპლარია, თუ გასულ წელს ველისციხის კოლმეურნეობის მშრომელებმა 12 ათასი მანეთის ჟურნალ-გაზეთი გამოიწერეს, წელს არც 18 ათასი მანეთის ხელმოწერას დასჯერდნენ. 5 ათასი მშრომელი 6 ათას ეგზემპლარ ჟურნალსა და გაზეთს იღებს. ამაში დამსახურება, პრესის გამავრცელებლებთან ერთად, კოლმეურნეობის მოანგარიშეს მ. მელიქაძესაც მიუძღვის. მისი გულმოდგინება სამახსოვრო ჯილდოთი — მაჯის საათით აღინიშნა.

## ექსკურსია მოძმე სომხეთში

განათლების მუშაკთა პროფკავშირის ახალციხის რაიკომმა და პედაგოგიურმა კაბინეტმა რაიონის სკოლების ხელმძღვანელთა და ისტორიის მასწავლებელთათვის მოაწყეს სამდღიანი ექსკურსია მოძმე სომხეთის რესპუბლიკაში. ისინი გაეცნენ ზოგიერთი სკოლის მუშაობას. (საქინფორმი).

## ახალი სკოლა

გულრიფში. (საკ. კორ.). გულრიფშის რაიონის სოფელ ფშაფის კოლმეურნეებმა თავიანთი დანაზოგით ნორჩებს აუშენეს რვაწლიანი სკოლის შენობა. სკოლა ააშენა გულრიფშის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციამ, რომელსაც გ. წურწუმია ხელმძღვანელობს. ამიერიდან ფშაფელი მოსწავლეები ერთ ცვლად იმეცადინებენ ნათელ საკლასო ოთახებში.

## კოსმოსურ სხივებზე „მონადირენი“

საქართველოს სსრ. კავკასიის მთებში, ცხრაწყაროს უღელტეხილზე, მოთავსებულია სადგური, რომელიც სწავლობს კოსმოსური სხივების ფიზიკას. აქ, ორი ათას ხუთასი მეტრ სიმაღლეზე, ქართველმა ფიზიკოსებმა იპოვნეს ის, რაც ბარში აკლიათ, — კოსმოსური ნაწილაკები. ამ ნაწილაკებს ისეთი ენერგია აქვთ, რომლების მიღწევაც ლაბორატორიებში შეუძლებელია.

სადგური აღჭურვილია პირველხარისხოვანი ტექნიკით. აქ არის უნიკალური მრავალტონიანი ელექტრომაგნიტი უზარმაზარი ხუთ-ხუთ კვადრატულ მეტრიანი პოლუსებით, მარეგისტრირებელი მოწყობილობანი და მთელი რიგი ზუსტი ხელსაწყოები.

ძნელია ქართველ ფიზიკოსთა მუშაობა. უღელტეხილზე გრიგალისებრი ქარები, მრავალი მეტრი სიღრმის თოვლი ართულებს მათ ცხოვრებას, მაგრამ ყოველი ახალი ნაბიჯი, ახალი ექსპერიმენტები და აღმოჩენანი ხელს უწყობენ მატერიის ბუნებაზე კაცობრიობის ცოდნის გაღრმავებას, კოსმოსის საიდუმლოებათა ამოხსნას.

• • •

სურათზე: ექსპერიმენტი უნიკალური მაგნიტის გამოყენებით.

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).


ეროვნული ბიბლიოთეკა

## სცენაზეა „რაშოვდა“

შარშან ამბროლაურის მუსიკალური სკოლის ახალგაზრდა პედაგოგებმა ა. ბოჭორიშვილმა და ბ. დავითულიანმა რაიონში საინტერესო ინიციატივა გამოიჩინეს. შეკრიბეს სიმღერის მოყვარულები და კულტურის სახლთან შექმნეს საესტრადო ჯგუფი. ეს წამოწყება მოიწონეს რაიალმასკომის კულტურის განყოფილებამ, კომკავშირის რაიონულმა კომიტეტმა და ენთუზიასტებს დახმარების ხელი გაუწოდეს. შეიძინეს ფორმა, საკრავი ინსტრუმენტები, შეარჩიეს რეპერტუარი და დაიწყო რეპეტიციები. ასე შეიქმნა ამბროლაურის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „რაშოვდა“.

მას შემდეგ მხოლოდ რამდენიმე თვე გავიდა, „რაშოვდას“ კოლექტივმა კი უკვე 100-ზე მეტი კონცერტი გამართა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში. მათ შორის ქუთაისში, ტყიბულში, ზუგდიდში, ონში, ცაგერში, ლენტეხში.

ამ დღეებში ამბროლაურელთა ეს ახალგაზრდული ანსამბლი თბილისს ეწვია და ოფიცერთა სახლში გამართულ ორი კონცერტით თავისი ხელოვნება გააცნო დედაქალაქის ესტრადის მოყვარულებს. მოწონება ხვდათ ვაჟთა კვარტეტს, ცალკეულ შემსრულებლებს, მუსიკალური ინსტრუმენტების დამკვრელთა ჯგუფს. „რაშოვდას“ რეპერტუარმა, რომელიც ქართული და მოძმე ხალხების, აგრეთვე საზღვარგარეთული საესტრადო სიმღერებისაგან შედგება, მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

რ. ჭელიძე.

---

გრიპის შემოტევაზე ახლა ყველგან ლაპარაკობენ. ადამიანები, რომლებსაც მედიცინასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ, ნამდვილ ცნობებს უმატებენ მოხაგონს და მზად არიან ერთბაშად დაგარწმუნონ, რომ თითქმის მთელი მსოფლიო უკვე დაავადებულია გრიპით.

მაგრამ ნუ იჩქარით ერწმუნოთ კატასტროფას, ნუ იკისრებთ გამბედაობას დიაგნოზი დაუსვათ ავად გამხდარ ნაცნობებს და ბანალურ (გაცვეთილ) უქეიფობას, მსუბუქ გაცივებას საშიში ინფექცია უწოდოთ.

გრიპის მსგავსი დაავადებანი ადამიანს მუდამ ემუქრებიან. დიდ ქალაქებში, მაგალითად, შვიდმილიონიან მოსკოვში, შემოდგომა-ზამთრის სეზონში ყოველდღე ავად ხდება 6-8 ათასი კაცი. მაგრამ ეს არ აშინებს ექიმებს, საკმარისია სწორი რეჟიმი — და რამდენიმე დღის შემდეგ ავადმყოფობა გაივლის.

დღეს ცნობილია ასამდე ვირუსი, რომლებიც ანგინებს, სურდოს, კატარებს იწვევენ. ისინი გრიპის იოლ ფორმას წააგავან და მისგან განსხვავდებიან მხოლოდ იმით, თუ რაოდენ საშიში არიან, მთავარი კი ის არის, რომ ლოგინად ერთსა და იმავე დროს მილიონობით ადამიანს როდი ჩააგდებენ ხოლმე.

მსოფლიოს მედიკები ამჟამად მართლა შეშფოთებული არიან გრიპის აფეთქებით, მაგრამ, ფხიზლად აფასებენ რა სიტუაციას, ისინი ვარაუდობენ, რომ ეპიდემია პლანეტარულ მასშტაბებს არ მიიღებს, და ჰონკონგის გრიპი იმაზე უფრო ვერაგი არ აღმოჩნდება, ვიდრე იყო ვირუსი, რომელმაც გამოიწვია დაავადებანი 1965 წელს.

# დაუპატიჟებელი სტუმარი ჰონკონგიდან

გრიპის ვირუსი მიკროსამყაროს განსაკუთრებული ბინადარია. ჩვენ ერთხელ მოვიხდით ხოლმე ყვავილს, წითელას. საშიშ მიკრობებს რომ შეხვდება, ჩვენი ორგანიზმი მრავალი წლით იხსომებს მათ, სისხლში რჩებიან დამცველი ცილოვანი ნივთიერებანი — ანტისხეულები. იმუნიტეტის ეს უცილობელი კანონი დაგვეხმარა შეგვექმნა მრავალ ისეთ ინფექციასთან ბრძოლის საშუალებანი, ოდესღაც ადამიანის უბედურებას რომ წარმოადგენდნენ. გრიპის ვირუსი კი? იგი, რომელიც თავის ნათესავებზე ნაკლებ ვერაგი ჩანდა, დღემდე მაინც არ არის მოთვინიერებული.

ევოლუციის ნაბიჯები ათასეულ წლებს ითვლის. მაგრამ გრიპის ვირუსისათვის კი არა! იგი გარდაიქმნება ხოლმე და მუდამ ახალი სახით წარმოგვიდგება. მის გარეგან ცილოვან გარსში, რომელიც ფარავს შიგარსს — ნუკლეინის მჟავას, მემკვიდრეობითი თვისებების შესახებ ცნობებს რომ ინახავს, გამოჩნდება ხოლმე ახალი ცილები — ახალი ანტიგენები. ამიტომ დამცველი ანტისხეულები, წინა ავადმყოფობის გამომწვევთა წინააღმდეგ შექმნილნი, მნიშვნელოვნად კარგავენ ძალას.

ცილოვანი გარსის სრული შეცვლა არც თუ ისე ხშირად ხდება — ოცდაათ-ორმოც წლიწადში ერთხელ. და სახელდობრ ამ ინტერვალების შემდეგ მსოფლიოს დაატყდება ხოლმე იმათი მსგავსი პანდემიები, როგორიც 1918 და 1956 წლებში იყო. ვირუსის გარსის ნაწილობრივ გარდაქმნასთან დაკავშირებული ეპიდემიები ყოველი ორი-სამი წლის შემდეგ გვემუქრებიან.

თანამედროვე მეცნიერებას, მიუხედავად თავისი ბრწყინვალე წარმატებებისა ინფექციებთან ბრძოლაში, არ ძალუძს „აგვაცილოს“ გრიპოზული აფეთქებანი. მაგრამ მეცნიერები გულდასმით აკვირდებიან ვირუსების ცვალებადობას და საკმაოდ სარწმუნოდ შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ, რომ ეპიდემიები გავრცელდება, და დროზე შექმნან „თავდაცვის საშუალებანი“.

თვალს ადევნებდნენ რა გრიპის სვლას პლანეტაზე, საბჭოთა ვირუსოლოგები ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულზე შიშობდნენ, რომ იგი სსრ კავშირის ტერიტორიაზე „შემოუხვევდა“. მაგრამ ეპიდემიის სოლიდურ ტალღას, რომელიც ინგლისს, ნიდერლანდს, დანიას, იტალიას, იუგოსლავიას მოედო, ძალა არ ეყო და, თითქმის უშუალოდ მოადგა რა სსრ კავშირის საზღვრებს, ზაფხულის დადგომამდე დაწყნარდა, შემოდგომაზე კი კვლავ იფეთქა.

მაგრამ გრიპმა უფრო ადრე იჩინა თავი, ვიდრე ვარაუდობდნენ. იგი გამოჩნდა ივნისში, ამასთან სულ სხვა მხრიდან, ავსტრალიის კონტინენტიდან. მართალია, ეს „სტუმარი“ ცნობილი იყო მეცნიერთათვის. ჯერჯერობით იყო ცნობილი — ერთი თვის შემდეგ კი სიტუაცია შეიცვალა. ჰონკონგში იფეთქა ეპიდემიამ, გამოწვეულმა ისეთი ვირუსით, რომელმაც მოასწრო მნიშვნელოვნად ეცვალა სახე.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია სასწრაფო ზომებს იღებს. ეპიდემიის კერაში „დაჭერილ“ ვირუსს, უფრო სწორად, მის დასუსტებულ ვარიანტს, გზავნიან ვირუსოლოგიურ ლაბორატორიაში, სიგნალები „SOS“ იგზავნება გრიპის ეროვნულ ცენტრებში.

— ჩვენ შევუდექით ჰონკონგის გრიპის შესწავლას, — გვიამბობს გრიპის საბჭოთა რეგიონალური ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პროფესორი ლ. ზაკსტელსკაია, — გასული წლის სექტემბერში. გამოირკვა, რომ თავის წინამორბედებთან შედარებით იგი (ესე იგი მისი ცილოვანი გარსი) შეიცვალა დაახლოებით ოთხმოცდახუთი პროცენტით. ეს გარდაქმნა საკმაოდ დიდია, რომ ეპიდემია გამოიწვიოს, მაგრამ იგი არ იმუქრება პანდემიით, როგორც ვარაუდობდა ზოგიერთი მეცნიერი, რომლებსაც ჰონკონგის გრიპი მიაჩნდათ ახალ სახედ.

მომზადებულ იქნა ახალი დიაგნოსტიკური პრეპარატები, რითაც შეივსო კოლექცია შრატებისა, რომელთა დახმარებითაც შეიძლება სწრაფად განვსაზღვროთ, რომელი ვირუსია ავადმყოფობის გამომწვევი. ისე რომ სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში შევეძლო გულდაჯერებით გვემტკიცებინა, რომ ჰონკონგელი სტუმარი საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ არ გამოჩენილა.

მართალია, მოულოდნელად გამოირკვა, რომ ჰონკონგის ვირუსი პირველად როდი სწვევია ჩვენს პლანეტას. მისი კვალი — ანტისხეულები — აღმოჩენილ იქნა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში დაბადებულ ადამიანთა სისხლში. ეს ადასტურებს იმ ფრიად ოპტიმისტურ იდეას გრიპის ვირუსის ევოლუციის შესახებ, რომელიც, როგორც ჩანს, უსაზღვრო როდია, არამედ „წრიულად“ დადის.

ჰონკონგის გრიპის დღევანდელი მოძრაობა რამდენადმე დამაფიქრებელია. ინდონეზიას, ფილიპინებს რომ ეწვია, იქიდან გადავიდა ინდოეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, თეირანში, მოუახლოვდა სსრ კავშირის საზღვრებს. და აქ თითქოს დაუძლეველ დაბრკოლებას წააწყდა — ეპიდემიების ცენტრმა გადანაცვლება იწყო იაპონიის, პანამის არხის გავლით ამერიკის კონტინენტისაკენ.

რატომ „იბრუნა პირი“ გრიპის ტალღამ? რატომ დაიძრა იგი ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ, რომლებმაც შარშან გადაიტანეს ეპიდემია? ბოლოს, ეს ინფექცია, რომელიც მაინც შეტანილ იქნა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, აქ რატომ არ იქცა აფეთქებად?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა დღეს ძნელია. როგორც ჩანს, ეპიდემიების გაჩენას განსაზღვრავს არა მარტო იმუნიტეტი ადამიანებისა მოცემული ინფექციისადმი, არა მარტო ჯამი გარეგანი პირობებისა, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად ხელსაყრელია ვირუსის გავრცელებისათვის, არამედ აგრეთვე რთული, ბევრ რამეში ჩვენ მიერ ჯერ კიდევ შეუცნობელი ურთიერთობა მიკროსამყაროს ბინადრთა შორის.

— ადამიანთა მსჯელობანი გრიპის შესახებ საკმაოდ ურთიერთ საწინააღმდეგოა. ზოგს იგი მიაჩნია იოლ დაავადებად, რომელიც სწრაფად იკურნება, ზოგს კი სიკვდილის ბევრი შემთხვევის მიზეზად, რასაც ადასტურებს ეპიდემიების კერებიდან მიღებული ცნობები. მაგალითად, გადამდებ დაავადებათა ატლანტის ეროვნული ცენტრის ცნობებით, გასული წლის დეკემბრის ოთხი კვირის მანძილზე ამერიკის 122 დიდ ქალაქში გრიპისაგან დაიღუპა სამი ათას ხუთასი ადამიანი.

ჩვენ უფლება არა გვაქვს დავეჭვდეთ ამ ციფრებში, მაგრამ გრიპი ნუთუ ნამდვილად უქმნის ესოდენ დიდ საფრთხეს ადამიანთა სიცოცხლეს?

— სიკვდილი გრიპისაგან, როგორც ასეთისაგან, მის მიერ გამოწვეული ინტოქსიკაციისაგან საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა, — გვიპასუხებს პროფესორი ზაკსტელსკაია. — როგორც წესი, საფრთხეს ქმნიან გართულებანი. ისინი შეიძლება სულ სხვადასხვა იყონ, მაგრამ ყველაზე ხშირად დაზიანებული აღმოჩნდებიან ხოლმე ორგანიზმის ის სისტემები, რომლებიც წინა დაავადებებით არიან გამოწვეული.

გართულებანი მნიშვნელოვანწილად შეიძლება თავიდან ავიცილოთ, თუ შევასრულებთ ექიმების რჩევას, მივიღებთ დანიშნულ წამლებს, დავიცავთ სწორ რეჟიმს. აქ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ, როგორც იტყვიან, „გამოვშუშდეთ“, სრულ გაჯანსაღებად არ მივიღოთ მდგომარეობის დროებითი გაუმჯობესება.

ამჟამად ჰონკონგის გრიპის აფეთქებანი აღნიშნულია საბჭოთა კავშირშიც. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უკვე მიიღო ღონისძიებანი, რითაც ალბათ შესაძლებელი იქნება შეჩერება ეპიდემიის ტალღისა, რომელსაც ძალუძს არა მარტო ზიანი მიაყენოს ადამიანთა ჯანმრთელობას, ეს კი მედიკების შეშფოთების მთავარი მიზეზია, არამედ კოლოსალური ზარალიც გამოიწვიოს მთელ მეურნეობაში.

მაგალითად, ჩიკაგოს ვაჭრობისა და მრეწველობის ასოციაციის გამოანგარიშებით, მარტო დღესასწაულების სეზონის მანძილზე ჰონკონგის გრიპმა საქმიან სამყაროს ოცდაათი მილიონი დოლარის საშობაო „საჩუქარი“ უძღვნა. და ეს მხოლოდ ჩიკაგოში!

ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა დიდია ზარალი, როდესაც სამუშაოს ერთდროულად შეწყვეტს არა ათასობით, არამედ მილიონობით ადამიანი, თუ გაჩერდება ქარხნები, სამრეწველო კომპლექსები.

გრიპთან ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებანი ამას წინათ განხილულ იქნა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიაზე. ამ ღონისძიებათაგან ბევრი უკვე განხორციელებულია. ვაქცინები აუცრეს 24 მილიონ კაცს, ძირითადად მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, სადაც ბევრი ხალხის თავმოყრის გამო ინფექციის გავრცელების შესაძლებლობა განსაკუთრებით დიდია. დამატებით შექმნილია ათასობით დოზა გამაგლობულინი — ანტისხეულთა თავისებური ექსტრაქტი. ამ პრეპარატს დონორთა სისხლიდან იღებენ, იგი ძვირია და ამიტომ განკუთვნილია პირველ რიგში ბავშვთა სამკურნალოდ.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში ოცდაათზე მეტმა ლაბორატორიამ მიიღო სპეციალური დიაგნოსტიკური პრეპარატები, რომლებიც გვეხმარება იმის სწრაფად გამორკვევაში, თუ რა ვირუსმა გამოიწვია ეპიდემიის აფეთქება — ჰონკონგურის გარდა ახლა ხომ შეიძლება ვირუსის ბევრი სხვა ვარიანტიც გავრცელდეს. იმის ზუსტად ცოდნა, თუ რომელმა ვირუსმა გამოიწვია დაავადება, შესაძლებლობას გვაძლევს შევარჩიოთ ყველაზე ქმედითი გამაუვნებელი საშუალებანი.

წმინდა სამკურნალო ღონისძიებებთან ერთად დაწყებულია კვლევით სამუშაოთა სერია. საბჭოთა მეცნიერები დონეცკის ოლქის რამდენიმე ქალაქის მოსახლეობის ვაქცინაციას ახდენენ და ცდილობენ პასუხი გასცენ კითხვაზე: შეიძლება თუ არა ახალი ვაქცინების დახმარებით მთლიანად ჩავაქროთ გრიპის აფეთქება. სწავლობენ, თუ როგორია ეფექტურობა ბავშვებისათვის, განკუთვნილი სპეციალური შესუსტებული ვაქცინისა, რომელიც შექმნეს ლენინგრადის გრიპის ინსტიტუტში. აგრეთვე რამდენად ქმედითია პრეპარატი ამანტადინი, რომელიც შესაძლოა გრიპის საწინააღმდეგო პირველი ქიმიური პრეპარატი გახდეს.

საბჭოთა ვირუსოლოგები დიდ იმედებს ამყარებენ ინტერფერონზე, უბრალო ცილაზე, რომელსაც ყველა ცოცხალი უჯრედი წარმოქმნის ვირუსის შეღწევის პასუხად. მისი შექმნის გასაძლიერებლად ორგანიზმში შეჰყავთ სტიმულატორები. მათი ქმედითობის შემოწმება მკვლევარების წინაშე მდგომი ერთ-ერთი ამოცანაა.

ყველა ეს საშუალება შედარებით ახალია — ისინი მიგნებულია სულ რაღაც ორი-სამი წლის წინათ, და მათ ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცონ, რომ შეიძლება მათი მასობრივად გამოყენება კლინიკებში. მაგრამ ლაბორატორიებში დამთავრებული ექსპერიმენტები უკვე დღეს იძლევა იმედებს, რომ ეს დრო შორს აღარ არის.

გრიპი მასობრივი ინფექციაა. იგი ჰგავს მთის მწვერვალიდან დაშვებულ ზვავს, და მას მარტო მეცნიერები, ექიმები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორები ვერ შეაჩერებენ. აქ საჭიროა ქვეყნის თვითეული მცხოვრების დახმარება, რომელსაც უბრალო ღონისძიებათა დაცვით — ჰიგიენის კარგად ცნობილი წესებიდან საკუთარი ორგანიზმის წრთობამდე, — შეუძლია თავი დაიცვას გრიპისაგან და შეამციროს სხვების დაავადების შესაძლებლობა.

ე. გორბუნოვა,
ახალი ამბების სააგენტოს მეცნიერი-კომენტატორი.



რამდენიმე ხნის წინათ გაგრაში საექსპლოატაციოდ გადაეცა სარაიონო კავშირგაბმულობის კვანძის შენობა. ლამაზ სამსართულიან შენობაში განლაგებულია ფოსტა, ტელეგრაფი, მოწყობილია საოპერაციო დარბაზები. სურათზე: სარაიონო კავშირგაბმულობის კვანძის ახალი შენობა.

ფოტო ი. ჯოხონელიძისა. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ფინიშამდე ოთხი ტურია

ამსტერდამი, 28 იანვარი. (საქინფორმი). ოთხი ტური დარჩა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალის ფინიშამდე, რომელიც გრძელდება ვეიკ ან ზეეში. წინ არიან საბჭოთა გროსმაისტერები მიხეილ ბოტვინიკი და ეფიმ გელერი, რომლებმაც თერთმეტ ტურში 8,5-8,5 ქულა შეაგროვეს. მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებენ ამ შეჯიბრების ჩვენი მესამე მონაწილე პაულ კერესი და უნგრელი ლაიოშ პორტიში. მათ აქვთ 7,5-7,5 ქულა.

მეთერთმეტე ტურში კერესმა ყაიმით დაამთავრა პარტია ამერიკელ პალ ბენკოსთან, ხოლო ბოტვინიკმა და გელერმა თავიანთი შეხვედრები გადადეს. გადადებული პარტიების გათამაშების დროს გელერმა მოუგო იუგოსლავ დრაგოლიუბ ჩირიჩს, ხოლო მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბოტვინიკი ყაიმზე შეუთანხმდა ჩეხოსლოვაკიელ ლუბომირ კავალეკს.

## ფეხბურთი—69

როგორც ყოველთვის, წელსაც ფეხბურთის ახალ სეზონს შეუნელებელი ინტერესით მოელიან. სიახლეც ცოტა როდია. ეს ეხება არა მარტო გუნდების შემადგენლობას, არამედ ამ კოლექტივების ხელმძღვანელობას, საერთაშორისო შეხვედრებს, ჩემპიონატის კალენდარს.

თუ ოდესღაც ფეხბურთის სეზონი საკავშირო ჩემპიონატით იხსნებოდა, ახლა ასე როდია. უმაღლესი ლიგის წარმომადგენლთა ერთი ჯგუფი — მოსკოვის „დინამო“ და „ტორპედო“, ოდესის „ჩერნომორეცი“ საზღვარგარეთ მართავს ტურნეს და ჩემპიონატისათვის ემზადება, დანარჩენებმა კი შავი ზღვის სანაპირო კურორტებს მიაშურეს და აქ გადიან შეკრებას. მალე ფეხბურთის გულშემატკივრები იხილავენ „ენძელას თასისათვის“ ბრძოლას, გაიმართება საკონტროლო მატჩები, საერთაშორისო შეხვედრებიც ბევრი იქნება.

წლევანდელი სეზონი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების გადამწყვეტი ეტაპია. სსრ კავშირის ნაკრებს თებერვლიდან ტურნე ექნება სამხრეთ ამერიკაში. საზღვარგარეთ გაემგზავრებიან აგრეთვე მოსკოვის სპარტაკი და ცსკა, კიევის „დინამო“. უკვე დაზუსტებულია ჩვენი ქვეყნის ნაკრების შესარჩევი მატჩების კალენდარი. საბჭოთა ფეხბურთელები ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს შეხვდებიან ბელფასტში 10 სექტემბერს, მოსკოვში 22 ოქტომბერს, თურქეთის გუნდს — 15 ოქტომბერს მოსკოვში, 15 ნოემბერს — სტამბოლში. ჩვენს ნაკრებს ექნება აგრეთვე საერთაშორისო მატჩები შვეციის გუნდთან 6 აგვისტოს მოსკოვში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელებთან — 27 ივლისს ლაიპციგში, იუგოსლავიის ნაკრებთან — 25 სექტემბერს ბელგრადში.

ძლიერი საკლუბო გუნდები ნიშნავს ძლიერ ნაკრებსაც. ამიტომ საკავშირო ჩემპიონატის კალენდარი შედგენილი იქნება იმის გათვალისწინებით, რომ გუნდები იბრძოდნენ თავიანთი საუკეთესო შემადგენლობით.

ისევე, როგორც შარშან, „ოქროს მაძიებელთა“ რიგებში იქნება უმაღლესი ლიგის 20 კოლექტივი.

კომუნისტის სპორტი

## ლიდერები და აუტსაიდერები

კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის მატჩებმა სატურნირო ცხრილში ცვლილებები შეიტანა. 28 იანვრისათვის ამ ცხრილის სათავეში 11 ქულით ლენინგრადის „სპარტაკს“ ვხედავდით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი პოზიცია მყარია. ჯერ ერთი მას ორი თამაშით მეტი ჰქონდა გამართული, ვიდრე მომდევნო ადგილზე მყოფ თბილისის „დინამოს“, ამასთანავე წაგებაც მეტი აქვს. ასე რომ დაკარგული ქულებით (2) ჩემპიონატში ყველაზე უკეთეს მდგომარეობას თბილისის დინამოელები ინარჩუნებენ. ლიდერთა სამეულში ვხედავთ აგრეთვე კიევის „სტროიტელს“, მაგრამ მან უკვე 6 შეხვედრა წააგო. დაკარგული ქულებით (3) კარგი მდგომარეობა აქვს აგრეთვე კაუნასის „ჟალგირისს“. თბილისის „დინამოსა“ და „ჟალგირისის“ მატჩები კაუნასში, რაც ადრე უნდა შემდგარიყო, გაიმართება 4 და 5 თებერვალს. მანამდე კი — 29 და 30 იანვარს დინამოელები სპორტის სასახლეში შეხვდებიან თბილისის „ბურევესტნიკს“.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა დაინახეს, აქვე მოთავსებულ გათამაშების ცხრილში ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობა აქვთ რიგის ვეფ-სა და ალმა-ატის „ლოკომოტივს“. თვითეულმა მათგანმა 15 თამაშში 12 ქულა დაკარგა.

წინ კიდევ ბევრი მატჩია.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 იანვრისათვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ლ.) | 14 | 11 | 3 | 1026-934 | 11 |
| „დინამო“ (თბ.) | 12 | 10 | 2 | 925-872 | 10 |
| „სტროიტელი“ (კ.) | 16 | 10 | 6 | 1157-1117 | 10 |
| „ჟალგირისი“ (კაუ.) | 12 | 9 | 3 | 871-809 | 9 |
| ცსკა | 15 | 9 | 6 | 1101-1071 | 9 |
| „დინამო“ (მ.) | 17 | 8 | 9 | 1162-1133 | 8 |
| „კალევი“ (ტ.) | 14 | 7 | 7 | 1009-1008 | 7 |
| სკა (კ.) | 16 | 7 | 9 | 1055-1056 | 7 |
| „ბურევესტნიკი“ (თბ.) | 12 | 5 | 7 | 783-810 | 5 |
| სკა (რ.) | 15 | 4 | 11 | 1058-1114 | 4 |
| ვეფ (რ.) | 15 | 3 | 12 | 976-1065 | 3 |
| „ლოკომოტივი“ (ალმ.) | 15 | 3 | 12 | 1029-1163 | 3 |

## მატჩი მონტევიდეოში

მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდი განაგრძობს გამოსვლას დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც მონტევიდეოში მიმდინარეობს. მორიგი მატჩი ტორპედოელებს ჰქონდათ ჩეხოსლოვაკიის „სპარტასთან“. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დაამთავრეს.

## რამდენიმე სტრიქონით

● ლენინგრადში სტარტი აიღო ზამთრის საკავშირო ტურნირმა ჩოგბურთში. შეჯიბრება გუნდური ასპარეზობით დაიწყო. პირველ მატჩში ესტონელმა ჩოგბურთელებმა დაამარცხეს ლატვიის გუნდი ანგარიშით 5:3. შეუპოვარი გამოდგა რსფსრ-ისა და საქართველოს ნაკრებთა პაექრობა. წარმატება რსფსრ-ის გუნდს ხვდა 5:4.

● თბილისის ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გრძელდება „ა“ კლასის მეორე ჯგუფის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. მორიგ მატჩში გროზნოს „სპარტაკმა“ დაამარცხა მინსკის „ბურევესტნიკი“ 3:1. თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ტაშკენტის „დინამოს“ შეხვედრის შედეგია 3:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

## ტელევიზია

29 იანვარი

11.00 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სკოლამდელთათვის — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.25 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“ (28 იანვრის გადაცემის გამეორება), 11.55 — კინონარკვევი, 12.15 — „ჯანმრთელობა“ სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — მხატვრული ფილმი „ბენზინის ფარდულის დედოფალი“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — საესტრადო კონცერტი „მღერის „ორერა“ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის) 19.00 — ბავშვებისათვის — „ვიმოგზაუროთ დედამიწის გარშემო“ — იტალია, 19.50 — კინონარკვევი, 20.15 — სატელევიზიო მიმოხილვა „მუსიკის სამყაროში“, 21.15 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ადამიანი ჩრდილში“; 22.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.10 — პროგრამა მეორე დღისათვის, 23.15 — ეთერშია „ახალგაზრდობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.00 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა დასაწყისი 10 საათსა და 55 წუთიდან.

## რადიო

30 იანვარი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — შ. მილორავა. ნაწყვეტები ოპერეტიდან „სასიძოები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — პოპულარული სიმფონიური მუსიკა, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.45 — შ. მშველიძე სიმღერები და რომანსები, 12.10 — ციკლიდან „კომუნისტი თავის ორგანიზაციაში“. საუბარი „კომუნისტის სახელი გვავალებს“, 12.25 — ლეონკავალო. ნაწყვეტები ოპერიდან „ჯამბაზები“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 14.00 — „წერილი გზიდან“ — ნოველა ი. დუნაევსკის შესახებ (მოსკოვი), 15.30 — სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მელოდიები (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ა. ბალანჩივაძე. მესამე კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 17.35 — მოსწავლეთათვის. ჟურნალ „ვოკრუგ სვეტა“ ფურცლებზე, 18.10 — მსუბუქი მუსიკა, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. ციკლი „ლენინის თხზულებების შემსწავლელთა დასახმარებლად“. საუბარი „ვ. ი. ლენინის წიგნის „რა ვაკეთოთ?“ მნიშვნელობა თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში“, 19.20 — სკრიაბინი. საფორტეპიანო პიესები, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — საერთაშორისო კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — ზ. ფალიაშვილი. ოპერა „დაისი“, 22.50 — ვივალდი. კონცერტი გიტარისა და ორკესტრისათვის, 23.30 — მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## თეატრები

29 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ პასკუალე, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სეილემის პროცესი (22 იანვრისათვის შეძენილი ბილეთები ვარგისია 29 იანვრისათვის), მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ყარამან ყანთელაძე, ვასო აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის — შესანიშნავი სამეული.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები